27
F75 4202
კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 230 (16051)

1 ოქტომბერი
სამშაბათი
1974
ფასი 2 კაპ.

355.000 ტონა ყურძნისათვის

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის" გარდამავალ დროშას

შემხვედრი გეგმა მოქმედებს

მეოთხე კვარტალი დაიწყო. თვითეული შრომითი კოლექტივი აანალიზებს გასული დროის მანძილზე ნამოქმედარს. წარმოების მუშაკები აფასებენ, თუ როგორ სრულდება გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი, სახავენ შეჯიბრების ქმედითობის შემდგომი ამაღლების გზებს, რათა დარჩენილ პერიოდში მოიპოვონ ახალი წარმატებანი, მიაღწიონ XXIV ყრილობის დირექტივებით დასახულ მიჯნებს. საბჭოთა ეკონომიკის განვითარების სწრაფი მყარი ტემპი საშუალებას გვაძლევს ახლავე დასაბუთებულად განვსაზღვროთ მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი ეტაპის ამოცანები, შევიმუშაოთ დაძაბული შემხვედრი გეგმები მისი ბოლო წლისათვის, რომელიც უთუოდ საყოველთაო-სახალხო დამკვრელური წელი გახდება.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შემხვედრ დაგეგმვას, რომელსაც საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ჰარმონიული შეხამება მილიონიანი მასების თვითმოქმედ თაოსნობასთან. „მოსკოველთა ინიციატივით დაწყებული ეს მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ნოვოროსიისკში გამოსვლისას. — და ჩვენ ყოველნაირად მხარს დავუჭერთ და განვავითარებთ მას".

ბევრი სამრეწველო საწარმოს კოლექტივები თანმიმდევრულად ახორციელებენ ხუთწლედის მეოთხე წელს ნაკისრ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებს. ამასთან მნიშვნელოვნად უმჯობესდება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების დარაზმვისათვის ბრძოლის მეთოდები. მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის გაერთიანების მშრომელები მთავარ ყურადღებას უთმობენ საამქროებისა და ფილიალების სწრაფ ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას. ლენინგრადის „სვეტლანას" გაერთიანებაში აქტიურად იყენებენ საწარმოთა მართვის ახალი ფორმის უპირატესობებს. იაროსლავლის ოლქის საწარმოებში ძლიერდება ბრძოლა წარმოების თვისებრივი მაჩვენებლების, როგორც მეურნეობის ეფექტიანი გაძღოლის უმნიშვნელოვანესი ნიშნის, გაუმჯობესებისათვის. ეს მაგალითები ცხადყოფენ, თუ რაოდენ ფართო და მრავალმხრივია მასების ინიციატივა შემხვედრი გეგმების შესრულების დროს.

მაგრამ საქმე ჯერ კიდევ ყველგან როდი მიდის წარმატებით. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში საწარმოთა დაახლოებით ათი პროცენტი ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. წლის გასულ თვეში მათ სახელმწიფოს დააკლეს მილიონობით მანეთის პროდუქცია, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონელი. საამქროთა რეკონსტრუქციის ჩამორჩენის გამო როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივმა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი რაოდენობით დააკლო „ნივის" მარკის კომბაინები. მთელ რიგ შემთხვევებში ჭიანურდება ახალ სიმძლავრეთა ამოქმედება და ათვისება. მაგალითად, ამურის ოლქის რაიჩიხის ფეხსაცმლის ფაბრიკაში ათვისებულია 25 პროცენტზე ნაკლები სიმძლავრეები, თუმცა საწარმო უკვე რამდენიმე წელია მუშაობს. ნელი ტემპით ხდება ახალ საამქროთა ათვისება „ურალკალიუმის" გაერთიანებაში, უვაროვისა და დოროგობუჟის აზოტოვანი სასუქების ქარხნებში, რიაზანის ქიმიური ბოჭკოს კომბინატში. აი სად არის პროდუქციის გამოშვების გადიდების უზარმაზარი რეზერვები, რომლებიც ყაირათიანად უნდა გავითვალისწინოთ შემხვედრ გეგმებში.

ხალხის შრომით შექმნილი მთელი მძლავრი ინდუსტრიული არსენალი ეფექტიანად უნდა მუშაობდეს ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად. უნდა ვიბრძოდეთ იმისათვის, რომ წარმოებაში დახარჯული მანეთი გვაძლევდეს მაქსიმალურ უკუგებას, რომ თვითეული საამქრო და აგრეგატი, თვითეული მანქანა და ჩარხი სრული დატვირთვით მუშაობდეს. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების ყველგან დანერგვას, წარმოების ზუსტ და ოპერატიულ ტექნიკურ მომსახურებას — შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას. აქ განსაკუთრებით ბევრი პრეტენზია შეგვიძლია წავუყენოთ მეტალურგებს. დარგის მთელ რიგ ქარხნებში ავარიების გამო ჯერ კიდევ დიდია აგრეგატების მოცდენა, პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს უშეკვეთოდ უშვებენ. სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ უნდა განამტკიცოს ტექნოლოგიური წესრიგი საწარმოებში, უფრო მკაცრი კონტროლი გაუწიოს პროდუქციის მიწოდებას მომხმარებელთა მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შემხვედრი გეგმების შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დროულად არის ისინი შემუშავებული. თუ ამას ახლა გავაკეთებთ, როცა წლის დაწყებამდე კიდევ სამი თვე რჩება, სამინისტროებსა და სხვა სამეურნეო ორგანოებს შესაძლებლობა ექნებათ ღრმად გააანალიზონ დასახული, შეარჩიონ წარმოების განვითარების ოპტიმალური ვარიანტი, მოაგვარონ ვალდებულებათა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. შემხვედრი გეგმა — ეს არის თავისებური ხელშეკრულება საწარმოსა და სამინისტროს შორის, სადაც ორივე მხარე გარკვეულ პასუხისმგებლობას კისრულობს. როცა სამინისტრო ქარხანასა თუ გაერთიანებას უმტკიცებს დაძაბულ წლიურ პროგრამას, იგი ვალდებულია უფრო ზუსტად შეუხამოს დავალება მომარაგების გეგმას, წინასწარ მოაწესრიგოს სამეურნეო კავშირ-ურთიერთობა, შემდეგ კი მკაცრად გაუწიოს კონტროლი ურთიერთმიწოდების რეალიზაციას.

შემხვედრ გეგმებზე მუშაობის ფორმები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, მოსკოვის ქარხანა „სტანკოლიტის" პარტიულმა კომიტეტმა შექმნა საერთო-საქარხნო კომისია რეზერვების გამოსანახავად. კომისიის შემადგენლობაში მოქმედებენ სექციები, რომლებსაც სათავეში უდგანან საინჟინრო და ეკონომიური სამსახურების ხელმძღვანელები, ისინი აწესრიგებენ საამქროებში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, აუმჯობესებენ ნორმატიულ სამუშაოს, სწავლობენ მატერიალური რესურსების დაზოგვის წინადადებებს. პარალელურად იმუშავებენ შემხვედრი გეგმების წარმატებით შესრულებისათვის შეჯიბრების ახალ პირობებს, აგრეთვე შეჯიბრების მიმდინარეობის აღრიცხვის სისტემას. კიევის ლეპსეს სახელობის ქარხნის კოლექტივში თავი ისახელეს წარმოების ნოვატორების, ინჟინრების, ეკონომისტების, პარტიული და პროფკავშირული აქტივისტების ბრიგადებმა, რომლებმაც შეიმუშავეს „ვიწრო" უბნებზე წარმოების სრულყოფის წინადადებანი. ეს და რეზერვების ძიებისათვის საზოგადოებრივი ძალების დარაზმვის სხვა ფორმები, რომლებმაც გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ყველა საწარმოში.

წლის ბოლომდე კიდევ შეიძლება საქმის გამოსწორება იქ, სადაც ჩამორჩებიან საერთო ტემპს, ვერ ასრულებენ დავალებებს. საქმე რა თქმა უნდა, ეხება არა იმას, რომ გავაჩაღოთ იერიშობანა, არამედ წარმოების თანმიმდევრულ, მყარ ინტენსიფიკაციას, შრომის რაციონალურ ორგანიზაციას, პროგრესული მეთოდების აქტიურ გავრცელებას. მოწინავეები, რომლებმაც უკვე შეასრულეს ვალდებულებანი, უნდა დაეხმარონ ჩამორჩენილებს, გულუხვად გაუზიარონ გამოცდილება. სოციალისტური შეჯიბრების შემდგომმა განვითარებამ დაძაბული შემხვედრი გეგმების შემუშავებამ უნდა უზრუნველყოს მასების შრომითი აქტივობის განუხრელი ამაღლება, ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა.

ПРАВДА 30 სექტემბრის მოწინავე

ფინეთში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის გამო

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კეკონენის მიწვევით საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით ფინეთს ეწვევა მიმდინარე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში და მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირისა და ფინეთის დაზავების შეთანხმების დადების 30 წლისთავისა და „ფინეთ-საბჭოთა კავშირის" საზოგადოების შექმნის 30 წლისთავის ზეიმში.

ძმური სოლიდარობა

უნგრეთის დელეგაცია სსრ კავშირში

ლენინგრადი, 29 სექტემბერი. (საქდესის კორ.). გუშინ გვიან საღამოს ლენინგრადიდან მოსკოვს გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იანოშ კადარის მეთაურობით.

იმავე მატარებლით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პავლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ა. კისელიოვი.

მოსკოვის ვაგზალში, რომელიც მორთული იყო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ სახელმწიფო ალმებით, დელეგაცია და მისი თანმხლები საბჭოთა ამხანაგები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ვ. რომანოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ი. არისტოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, ლენინგრადის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ნ. შიბალოვმა, სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივნებმა.

სტუმრები გულთბილად გააცილეს ლენინგრადელ მშრომელთა მრავალრიცხოვანმა წარმომადგენლებმა.

29 სექტემბერს ლენინგრადიდან მოსკოვში დაბრუნდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მეთაურობით.

დელეგაციასთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სხვა საბჭოთა ამხანაგები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ლენინგრადის ვაგზალში უნგრეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, სხვა ოფიციალური პირნი.

29 სექტემბერს უნგრეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ეწვივნენ ნარო-ფომინსკის რაიონის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის კუზნეცოვსკის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის მეღორეობის სამრეწველო კომპლექსს. მეცხოველეებს ესტუმრნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ფოკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ნემეტი, ჟურნალ „ტარშადალმი სემლეს" მთავარი რედაქტორი ვ. ბენკე და სხვა უნგრელი ამხანაგები.

მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობაში ყოფნის დროს დელეგაციას ახლდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. ლესეჩკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. კონოტოპი და სხვები.

ყვავილებით, პურ-მარილით შეხვდნენ უნგრელ მეგობრებს საბჭოთა მეურნეობის მუშები. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ოლქისა და რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კომპლექსის სპეციალისტებთან მეგობრული საუბრის დროს სტუმრებს გააცნეს მეურნეობა. მათ უთხრეს, რომ კუზნეცოვსკის კომპლექსი მოსკოვის ოლქის ერთ-ერთი უდიდესი მეღორეობის მეურნეობა, ამ დარგის ინდუსტრიალიზაციის პიონერია. აქ მიღწეულია შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონე, მთლიანად მექანიზებულია საკვების დარიგება, პირუტყვის სადგომების დალაგება და ამ სადგომებში მიკროკლიმატის დაცვა.

კომპლექსმა მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს და წელს სახელმწიფოს მიჰყიდის 108 ათას ღორს, ანუ 12,6 ათას ტონა ხორცს. მან დაახლოებით 10 მილიონი მანეთი წმინდა მოგება უნდა მიიღოს. ამრიგად, უკვე გაისად სავსებით ანაზღაურდება მისი მშენებლობისათვის გაწეული ხარჯები.

საწარმო გახდა ქვეყანაში მშენებარე სხვა ამგვარი მეღორეობის სამრეწველო კომპლექსებისათვის საჭირო კადრების მომზადების სამჭედლო. მარტო შარშან აქ გამოუშვეს ორი ათასზე მეტი ოპერატორი და სხვა პროფესიათა სპეციალისტები.

უნგრელმა მეგობრებმა დაათვალიერეს კომპლექსი, პირუტყვის სადგომები. მათ დაწვრილებით გამოიკითხეს, თუ როგორ არის მოწყობილი ღორის ხორცის საკონვეიერო წარმოება, როგორია მისი რენტაბელობა და როგორ გაზრდიან პროდუქციის გამოშვებას.

შთაბეჭდილებათა წიგნში უნგრელმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებისაგან შემდგარმა კოლექტივმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია და დიდი ენთუზიაზმით შრომობს. დელეგაციის წევრებმა საბჭოთა მეურნეობის მუშაკებს მიულოცეს მიღწეული შედეგები, სულითა და გულით უსურვეს ახალი დიდი წარმატებანი. (საქდესი).

საუბრის დროს.

საქდესის ფოტოქრონიკა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხანაგ ი. კადარის მეგობრული შეხვედრა

29 სექტემბერს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ იანოშ კადარის შეხვედრა.

საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების საკითხები. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური კავშირის საფუძველია ორივე ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიების — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მჭიდრო, განუწყვეტლივ მზარდი ურთიერთობა და ძმური სოლიდარობა.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. კადარმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ფართო წრის აქტუალურ ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროპაში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის სოციალისტური თანამეგობრობის ბრძოლის საკითხებს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხანაგ ი. კადარის შეხვედრამ ძმურ, გულითად ვითარებაში, ყველა განხილულ საკითხზე სრული ურთიერთგაგებისა და აზრთა ერთიანობის სულისკვეთებით ჩაიარა.

გურჯაანელთა ზვრებში

გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი წითელი დროშისა და ვიმპელის მოსაპოვებლად გურჯაანის რაიონში მთელი ძალით არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეობა კოლმეურნეობას ეჯიბრება, მეურნეობა — მეურნეობას, ბრიგადა — ბრიგადას, მევენახე — მევენახეს. შეჯიბრების შტაბი რაიონული კომიტეტის ბიუროა. ყოველდღე ჯამდება შეჯიბრების შედეგები. გუშინდლამდე გურჯაანელებმა უკვე მოკრიფეს და გადაამუშავეს 45.000 ტონა ყურძენი. ვალდებულებით ისინი 60.000 ტონისათვის იბრძვიან.

ყველა — დიდი და პატარა რთველშია. ავტომანქანებით, ურმებით ეზიდებიან ყურძენს მარნებისაკენ. შეჯიბრებაში წინ მიდის ჩუმლაყის კოლმეურნეობა. 549 ჰექტარი ვენახიდან სახელმწიფოს ჩაბარდა 6.500 ტონა ყურძენი, გეგმა კი 3.300 ტონას ითვალისწინებდა. „კომუნისტის" ვიმპელი სამჯერ ზედიზედ ამ კოლმეურნეობამ მოიპოვა და საზეიმო ვითარებაში მუდმივად მათ გადაეცათ. ამ კოლმეურნეობის ვ. დათუაშვილის ბრიგადამ ჰექტარზე 155 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გ. კენკიშვილის ბრიგადამ — 145 ცენტნერი, გ. ხუტაშვილის ბრიგადამ — 150 ცენტნერი. მკრეფავებს შორის მედიკო აკოფაშვილი დაწინაურდა. იგი დღეში 1.400-1.600 კილოგრამ ყურძენს კრეფს, ნ. მირველაშვილი — 1.200-1.500, გ. ბერულაშვილი — 1.300-1.500 კილოგრამს.

— ვიმპელი ჩვენ დაგვრჩა, იმედი მაქვს „კომუნისტის" გარდამავალ დროშასაც ჩვენ მოვიპოვებთ, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. უტიაშვილმა.

მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. იაშვილი) სახელმწიფოს უკვე მიჰყიდა 4.500 ტონა ყურძენი, კარდანახის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ნ. ღლიღვაშვილი) — 3.150 ტონა, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი უ. შავლიაშვილი) — 3.495 ტონა, ველისციხის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი დ. მამისაშვილი) — 3.532 ტონა, ვაზისუბნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. მოზრიშვილი) — 3.312 ტონა, შაშიანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ტ. ჩქარეიშვილი) — 1.515 ტონა.

რაიონის მოსახლეობასაც შეაქვს თავისი წვლილი.

რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამ დღეებში სამშობლოს უპატაკონ ყურძნის დამზადების ვალდებულების შესრულება.

სურათზე: ჩუმლაყელი მოწინავეები, დები ლეილა და ლაურა ვარამაშვილები.

თ. ბობიაშვილის ფოტო.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება

30 სექტემბერს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პავლოვი.

უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ფოკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ნემეტი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჟურნალ „ტარშადალმი სემლეს" მთავარი რედაქტორი ვ. ბენკე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ჰუსარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ფ. პუია, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. რაპაი.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხელმძღვანელებმა განიხილეს საკითხთა ფართო კომპლექსი, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის მჭიდრო ძმური ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებას, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ნაყოფიერი თანამშრომლობის განვითარების და სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ახლანდელი ეტაპის მოთხოვნათა შესაბამისად მისი სრულყოფის პერსპექტიულ მიმართულებებს.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან და მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ურთიერთმოქმედების საკითხებზე.

განიხილეს აგრეთვე სხვა, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები და შეათანხმეს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ერთობლივი კომუნიკე, რომლის ტექსტი გამოქვეყნდება.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმური მეგობრობის, გულითადობის, ყველა განხილულ საკითხზე შეხედულებათა და პოზიციათა სრული ერთიანობის ვითარებაში. (საქდესი).

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 30 სექტემბერს მიიღო იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი ალი ნასერ მუჰამედი, რომელიც საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოვიდა.

საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ და გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ორივე მხარის ერთიანი პოზიციების საფუძველზე საბჭოთა კავშირისა და იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მხარეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც მხარი დაუჭირონ არაბ ხალხთა მეცადინეობას უზრუნველყონ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგება 1967 წელს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანისა და პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებების უზრუნველყოფის საფუძველზე.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია იქონიოს მტკიცე იმედი, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის მხარს დაუჭერს მის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია პროგრესულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელება ქვეყანაში და ვითარების ნორმალიზაცია არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში.

ალი ნასერ მუჰამედმა მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სოლიდარობისა და მეგობრობის ურთიერთობის განმტკიცების პრინციპულ კურსს.

ძმურ გულითად ვითარებაში

30 სექტემბერს კრემლის დიდ სასახლეში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ დარბაზობა გაუმართეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი.

დარბაზობაზე იყვნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, მარია კადარი და სხვა უნგრელი სტუმრები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები, მხედართმთავრები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოვის საწარმოთა მოწინავეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმართა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები.

დარბაზობის დაწყების წინ შესრულდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზობამ დიდი გულთბილობის, გულითადობის, ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

(საქდესი).

დელეგაცია ჩამოვიდა

29 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ჰაგერის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებში, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავს ეძღვნება. (საქდესი).

მოგილოცავთ, მეგობრებო!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ჟურნალ „საქართველოს ქალის" „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა საქართველოს ქალთა კომუნისტური აღზრდის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი დარაზმვის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის ჟურნალი „საქართველოს ქალი" დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1974 წ. 30 სექტემბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს

ჩვენ, აზიისა და ინდოეთის ოკეანის აუზის, სოციალისტური თანამეგობრობის 30 ქვეყნის საზოგადოებრიობის, აგრეთვე განმათავისუფლებელი მოძრაობებისა და საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც შევიკრიბეთ საერთაშორისო შეხვედრაზე „აზიის მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლა თანამედროვეობის საჭირბოროტო ამოცანაა", აღფრთოვანებით შევხვდით თქვენს გულითად მოსალმებას და კეთილ სურვილებს. დიდად გვახარებს ის, რომ ჩვენი ფორუმის მნიშვნელობას ესოდენ მაღალი შეფასება მისცა თანამედროვეობის გამოჩენილმა მოღვაწემ, რომლის სახელს ხალხები სამართლიანად უკავშირებენ მშვიდობისა და უშიშროების კეთილშობილურ იდეალებს.

თქვენი წერილი მიგვაჩნია კიდევ ერთ დადასტურებად მშვიდობისმოყვარული, ჰუმანისტური პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს. ამ პოლიტიკას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება ყველა კონტინენტზე, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, გაგებით ეკიდებიან და მხარს უჭერენ ჩვენი პლანეტის პროგრესული ძალები.

თავიანთი მუშაობით სამარყანდის საერთაშორისო შეხვედრის მონაწილენი ცდილობდნენ შეეტანათ წვლილი დედამიწის ყველაზე დიდ და დასახლებულ ნაწილში კოლექტიური მეცადინეობით მტკიცე მშვიდობისა და საიმედო უშიშროების მიღწევის საქმეში, და მაშასადამე, საყოველთაო მშვიდობის საქმეში. ჩვენ კვლავაც არ დავიშურებთ ძალღონეს ამ მიზნის მისაღწევად.

გისურვებთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ახალ დიდ წარმატებებს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დაუცხრომელ კეთილშობილურ საქმიანობაში.

ქალაქი ტაშკენტი.

დღეს იწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში

ლენინიზმი გვასწავლის გამარჯვებას

ჩვენი პარტიის მიერ რევოლუციური თეორიის მნიშვნელობის მაღალი შეფასების ვითარებაში დღეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციები იწყებენ ახალ სასწავლო წელს პარტიული სწავლების, მშრომელთა ეკონომიური განათლებისა და კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემაში. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის ბელორუსიის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“.

სასწავლო წლისათვის რომ ემზადებოდნენ, პარტიული ორგანიზაციები ამავე დროს იბრძოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებების შესასრულებლად, იმ კომპლექსურ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებსაც სისტემატურად სახავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში, ყველა შრომით კოლექტივში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა, შექმნილია ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო, სულ უფრო მეტად მკვიდრდება საქმიანი ვითარება, ნამდვილი ამხანაგობის სულისკვეთება. ხალხი დაუცხრომლად შრომობს დევიზით „დამკვრელური შრომით ვახელოთ სამშობლო“. პრაქტიკული საქმეებით ხორცს ასხამენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ დადგენილებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

მთელ ამ დაძაბულ შრომაში დიდ როლს ასრულებენ პროპაგანდისტები, პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემის მრავალრიცხოვანი მსმენელები, საერთოდ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები.

ლენინური თეორიული მემკვიდრეობის შესწავლისა და პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ პარტიის თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო კომიტეტები და მათი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, თელავის, მახარაძის, წყალტუბოს, ზესტაფონის, წალენჯიხის და მთელი რიგი სხვა რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები.

ახლა ამოცანა ის არის, რომ რასაც მივაღწიეთ მარქსისტულ-ლენინური განათლების, მშრომელთა ეკონომიური სწავლების საქმეში, საჭიროა განვავითაროთ და გავაღრმაოთ ახალ, 1974-1975 სასწავლო წელს. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მოხდეს სწავლების შინაარსის გააქტიურება, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა თავიანთ მუშაობაში უნდა დაძლიონ სკოლარობა და ფორმალიზმი, რაც, სამწუხაროდ, გასულ სასწავლო წელს ზოგან შეიმჩნეოდა.

პარტიული სწავლებისა და ეკონომიური განათლების სისტემის **დაწყებით რგოლში** სასწავლო წელი იწყება ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინაშე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვის შესწავლით. ეს დიდმნიშვნელოვანი მომენტია.

საშუალო რგოლში ყურადღება უნდა მივაპყროთ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების არსებული კურსის ღრმად ათვისებას, იმას, რომ მსმენელებმა საფუძვლიანად შეიძინონ პოლიტიკური თვითგანათლების ჩვევები, რაც უმაღლეს რგოლში შემდგომი სწავლისათვის აუცილებელია.

უმაღლეს რგოლში პარტიულ ორგანიზაციებს მოუხდებათ სწავლება წარმართონ ადამიანების პროფესიული ინტერესების, მათი საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, უზრუნველყონ კომკავშირული პოლიტიკური სწავლების სისტემაში მეცადინეობის მაღალი დონე.

პროპაგანდისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ სასწავლო პროცესის სავალდებულო ელემენტია პრაქტიკულ დავალებათა შესრულება, კონკრეტული მდგომარეობის გარჩევა და ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტა; ცხადია, უფრო აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ეკონომიური განათლების სისტემა იმისათვის, რომ მსმენელებმა მონაწილეობა მიიღონ წლევანდელ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებაში, 1975 წლისათვის შემხვედრი გეგმების შემუშავებაში.

ისე უნდა მოეწყოს იდეოლოგიური მუშაობა, რომ მთელი პროპაგანდისტული საქმიანობა შინაარსით, ფორმებითა და მეთოდებით შეესაბამებოდეს დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფდეს მეცხრე ხუთწლედის დავალებების, მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების უთუოდ შესრულებას.

პარტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში ახალ სასწავლო წელს რომ ვიწყებთ, წინ უნდა წავიმძღვაროთ ასეთი დევიზი: ვსწავლობთ ლენინიზმს. ვსწავლობთ გამარჯვებას!

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავ საამქროში „ეკონომიური ცოდნის საფუძვლების“ სკოლის ერთ-ერთ მეცადინეობაზე საუბარი შეეხო შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანებს და მიმართულებებს. პროპაგანდისტმა დ. ბურდილაძემ მოიყვანა მაგალითები საამქროს კოლექტივის საქმიანობიდან. მან კომპეტენტურად მიუთითა იმ რეზერვებზე, რომლებიც იყო მზა ნაგლინის აირმჭრელით გასუფთავების ოპერაციის დროს. აირმჭრელით დამუშავების შემდეგ ნაგლინზე რჩებოდა დიდი, ღრმა კვალი, რაც მოითხოვდა დამატებით დამუშავებას, ამასთან იწვევდა ლითონის დანაკარგს ზოგჯერ წუნსაც.

შემდეგ სკოლის მსმენელებმა უშუალოდ სამუშაო უბანზე განიხილეს ამ ოპერაციის მსვლელობა. რამდენიმე დღეც, და მსმენელმა შ. მანჩხაშვილმა შეიტანა წინადადება, რომ აირმჭრელით ნაგლინის გასუფთავების დროს ცეცხლის ჭავლსა და ნაგლინს შორის კონტაქტისათვის გამოეყენებინათ ლითონის ძელაკი. ასეც მოიქცნენ. ნაგლინზე აღარ რჩებოდა ღრმა კვალი, გამოირიცხა ხელახალი დამუშავების საჭიროება, გაუკეთესდა დამუშავებული ზედაპირის ხარისხიც. ამ წინადადების დანერგვით დაიზოგა ლითონი, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

როცა პროპაგანდისტი ი. კაპანაძე საუბრობდა ქიმიური საამქროს ლაქტამიანი წყლის დანაკარგებზე, (ქიმიური ბოჭკოს ქარხანა), აღინიშნა დანაკარგების ლიკვიდაციის გზები. საკითხის განხილვაში ჩაებნენ მსმენელები. შემდეგ ქარხანაში გამოაცხადეს კონკურსი, ვინ რა წინადადებას წამოაყენებდა. შემოვიდა რვა წინადადება: მალე წარმოებაში დაინერგა ომარ კაპანაძის წინადადება, რამაც საამქროს 135 ათასი მანეთი ეკონომია მისცა. ამ წინადადებამ ახალგაზრდა რაციონალიზატორთა საკავშირო კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა.

რაზე მეტყველებს ეს ორი მაგალითი? იმაზე, რომ ცოცხალ პრაქტიკასთან დაკავშირებული თეორიული მეცადინეობა ავითარებს მსმენელთა აზროვნებას, შემოქმედებითს ინიციატივას. თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების შესწავლას დიდი სარგებლობა მოაქვს მშრომელთათვის. „მას შემდეგ, რაც ეკონომიური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელ სკოლაში დავიწყე მეცადინეობა, — ამბობს რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის სართავი საამქროს ამომხვევი ნადეჟდა ბირიუკოვა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა უპატაკა სამშობლოს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულება, — მე სულ სხვა შეხედულება შემექმნა ჩემი და ჩემი ამხანაგების შრომაზე. პირადი შრომითი წარმატება ახლა უფრო დიდ ბედნიერებას მანიჭებს“.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მუშაკთა რეალური მონაწილეობა წარმოების მართვაში, აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელებაში, კოლექტივის ეკონომიური ცხოვრების საკითხებზე გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში უშუალოდ არის დამოკიდებული მათი მომზადების დონეზე:

ცოდნის სიკეთე

მშრომელთა ფართო მასების ეკონომიური განათლების დონის ამაღლებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია წარმოების მართვის დემოკრატიული საფუძვლების განვითარება.

დაგროვილი გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საგრძნობი, კონკრეტული შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ყოველი ეკონომიური სკოლა და სემინარი გადაქცეულია წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზების განხილვისა და დამუშავების შემოქმედებით ლაბორატორიად.

ეკონომიური სწავლების ეფექტიანობა არსად არ ელინდება ისე თვალსაჩინოდ, როგორც სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში, მოწინავე საწარმოო გამოცდილების გავრცელებაში. ეკონომიური ცოდნა საშუალებას აძლევს მშრომელებს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის პრაქტიკის სრულყოფაში, შრომის ნაყოფიერების ზრდის პირადი კომპლექსური გეგმების, სოციალისტური ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების შემუშავებაში.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ეკონომისტი-პროპაგანდისტებიც ცდილობენ მეცადინეობა ჩაატარონ მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე, მაქსიმალურად მიუახლოონ ისინი საწარმოო პრაქტიკას. შესასწავლი თემების ადგილობრივი ფაქტიური მასალით გამდიდრებას და ამ ფაქტების ეკონომიურ ანალიზს მუდამ დადებითი შედეგები მოაქვს, მეცადინეობაც უფრო მიმზიდველი და საინტერესოა.

ეკონომიური განათლება სერიოზულ აღმზრდელობით ზეგავლენას ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც სწავლების პროცესში შუქდება ცხოვრებისეული მოვლენების სოციალური არსი, ხდება ყოველივე ახლისა და პროგრესულის, აგრეთვე სახელმწიფო, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევების, მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური პრინციპებიდან გადახრების დასაბუთებული პოლიტიკური და ეკონომიური შეფასება. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ მშრომელთა ეკონომიური განათლების ორგანიზატორები, ეკონომიური ცოდნის დაუღალავი პროპაგანდისტები. სწავლების ეფექტიანობა ხომ პირდაპირ არის დამოკიდებული პროპაგანდისტის თეორიული და მეთოდური მომზადების დონეზე, მის მისწრაფებაზე თვითეული მეცადინეობა გადააქციოს გამოუყენებელი საწარმოო რეზერვებისა და შრომის უფრო რაციონალური ორგანიზაციის ხერხების ძიების სკოლად, ერთად შეაერთოს თავისი მუშაობის თეორიული, აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მხარეები.

დღეს არ არის უფრო მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმე, ვიდრე თავდადებული ბრძოლა 1974 წლის დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში. ამ პატრიოტულ საქმეში დიდი წვლილი შეუძლიათ და კიდეც უნდა შეიტანონ პროპაგანდისტებმა, ყველამ, ვინც ხელმძღვანელობს მშრომელთა ეკონომიურ განათლებას.

თ. ზუკაკიშვილი,
მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის უფროსი მეთოდისტი.

პროპაგანდისტთა დახელოვნებისათვის

ახალციხე. (საკ. კორ.). პარტიის ახალციხის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა იდეოლოგიური დარგის მუშაკთა თათბირი საკითხზე: „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შედეგები და იდეოლოგიური დარგის მუშაკთა სადღეისო ამოცანები“.

აღნიშნულ საკითხზე თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის ახალციხის რაიკომის შტატგარეშე ლექტორის შ. წიქვაძის, ქვანახშირის № 1 შახტის პარტიული კომიტეტის მდივნის ე. დომინიკოვას, პროპაგანდისტ ლ. ქურდაძის, საზოგადოება „ცოდნის“ სვირის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარის ტ. კაპანაძის, სოფელ გიორგწმინდის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის ა. კაპანაძის, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივნის შ. შანიძის ინფორმაციები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის მასალების პროპაგანდისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

მეთოდური საინსტრუქციო სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი თ. ზარგინავა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. გაგაშელმა.

ლექტორთა სიტყვა — სოფელს

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინიციატივით გულრიფშის რაიონის სოფლებში ერთი კვირის მანძილზე ჩატარდა ლექციების ციკლი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის მასალების პროპაგანდას.

მსმენელთა წინაშე მაღალკვალიფიციური ლექციებით გამოვიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ლექტორები შ. ჩაჩუა, შ. აფრიდონიძე, ი. გოქსაძე, ი. კვესელავა და სხვები.

ლექციებს 2 ათასამდე კაცი დაესწრო.

დ. დადიანი.

მიეძღვნა კომკავშირულ განათლებას

ბათუმი. (საკ. კორ.). კომკავშირული პოლიტგანათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასა და სწავლებაში დანერგილი სიახლეების საკითხებს მიეძღვნა ბათუმში გამართული კომკავშირული პოლიტსწავლების პროპაგანდისტთა ზონალური თათბირ-სემინარი. იგი მოაწყეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტმა. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარისა და გურიის რაიონების კომკავშირის რაიკომების მდივნები, კომკავშირული პროპაგანდისტები.

სემინარი გახსნა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ნაკაშიძემ.

მოხსენებით „კომკავშირული ორგანიზაციების როლი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში“ გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ა. ტაკიძე.

პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი

ლექციური მუშაობის მთელი შინაარსი პირველ ყოვლისა ლექტორთა შემადგენლობით განისაზღვრება. პარტიის გალის რაიკომი სათანადო კონტროლსა და დახმარებას უწევს თავის ლექტორებს. მათთვის სისტემატურად ეწყობა კვალიფიკაციური ლექციები, თეორიული კონფერენციები, სემინარები, განაზოგადებენ მოწინავე ლექტორთა მუშაობის გამოცდილებას. ორგანიზებულად ჩატარდა ლექტორთა სემინარი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესწავლისა და პროპაგანდის საკითხებს.

ლექტორებისა და იდეოლოგიური დარგის სხვა მუშაკებისათვის მაღალ დონეზე მოეწყო თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები თემებზე: „ახალი ადამიანის ფორმირება კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა“, „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახებ“ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების შუქზე“.

ლექციების თემატიკა მრავალფეროვანია და შეესაბამება მასების მოთხოვნებს. დიდმნიშვნელოვან თემებზე (მაგალითად, „პროტექციონიზმის არსი და მის წინააღმდეგ ბრძოლა“) ლექციები წაიკითხეს პარტიის რაიონული კომიტეტის ლექტორებმა ლ. ჭანტურიამ, ნ. თორიამ, ლ. ფრუიძემ, ს. ხვისტანმა, გ. ბერიამ, ბ. შონიამ, შ. ასვანუამ, შ. გულიამ, მ. გაბეჩკორიამ, ლ. ზუკუამ, ქ. კორძახიამ, შ. შამუგიამ.

მაგრამ ლექციურ პროპაგანდაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებსაც. ცოტა იკითხება ლექციები მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, ესთეტიკის, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის აქტუალურ საკითხებზე. ლექციური პროპაგანდა ყოველთვის როდი უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს, წარმოების, მეურნეობის წინაშე დასმულ ამოცანებს, ზოგიერთ ლექციაში საქმის ცოდნით არა ჩანს არსებული ნაკლოვანებები და მათი წარმოშობის მიზეზები, ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული რეკომენდაციები. ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ საზოგადოება „ცოდნის“ გუდავის, ღუმურიშის, ლეკუხონის, რეფის პირველადი ორგანიზაციები. ნაკლოვანებანი არის ლექციების კითხვის კოორდინაციის საქმეში. რაიონის პირველადი პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციების მუშაობას, პარტიულ კრებებზე იშვიათად განიხილავენ მათი მუშაობის საკითხებს.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებით ლექციური პროპაგანდა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უნდა დავაყენოთ.

„საბჭოთა აფხაზეთი“ — გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტიური კორესპონდენტი.

თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისის“ კოლექტივმა 26 სექტემბერს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა.

საწარმოს წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვს მოწინავე მქსოველს ნადეჟდა კავთიაშვილს. იგი ჩინებული სპეციალისტია. მუშაობს გრაფიკის გასწრებით. კავთიაშვილი ფაბრიკაში ერთ-ერთი პირველი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

სურათზე: მოწინავე მქსოველი „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ნადეჟდა კავთიაშვილი.

ე. ეგინოვის ფოტო.

კარტოფილი არის, დროზე ავიღოთ!

☐ **დმანისელ მშრომელთა ვალდებულებაა სახელმწიფოს ჩააბარონ 12.000 ტონა კარტოფილი, გეგმა 9.310 ტონას ითვალისწინებს.** ☐ **პარტიის რაიონული კომიტეტის ორგანიზატორული როლი.** ☐ **კარტოფილის კულტურას 1.570 ჰექტარი უჭირავს.** ☐ **ტრანსპორტი — მტკივნეული უბანი.** ☐ **ჰექტარზე 15 ტონა მოსავალი.** ☐ **მომავალი წლის ამოცანა — 15 ათასი ტონა კარტოფილი.**

ბუნება მეტად მკაცრი გამოდგა დმანისელი მეკარტოფილეებისათვის. განუწყვეტლივ წვიმს, ცივა, გაძნელებულია მინდვრად სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაყვანა, მუშაობა. მიუხედავად ამისა, დმანისელებმა პირობა დადეს წელს 9.310 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდონ 12 ათასი ტონა კარტოფილი.

ასეთი პირობის დადება იმითაც არის ნაკარნახევი, რომ წინა წლებში რაიონს შესრულებული არა აქვს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალებები. თუ წელს არ იმარჯვეს, ცხადია, კარტოფილის წარმოების გეგმის შეუსრულებლობის საფრთხე კიდევ უფრო ახალი ძალით იჩენს თავს.

პარტიის რაიონული კომიტეტი (პირველი მდივანი ჯ. ჩხაიძე) დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა, რათა მეკარტოფილეთა სოციალისტური ვალდებულება რეალურ საქმედ იქცეს. ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ საკითხებს ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში კარტოფილის მოსავლის აღების მიმდინარეობის შესახებ, სახავენ ღონისძიებებს ტემპების დასაჩქარებლად, არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

კარტოფილის ნათესებს რაიონში 1570 ჰექტარი უჭირავს. ეს დარგი ერთ-ერთი წამყვანია აქაური მშრომელებისათვის.

იციან რა მეკარტოფილეობის ყადრი, ბევრი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა სისტემატურად ზრდის მის ფართობებს, სახავს აგროღონისძიებებს საშუალო მოსავლიანობის გასაზრდელად. განსაკუთრებით ფართოდ ავითარებენ ამ დარგს დმანისის, ევრისის, ვაკის და კიროვის საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე გომარეთის, მაშავერის, განთიადის, ჯავახის და სხვა კოლმეურნეობები. სწორედ მათ დაიწყეს სახელმწიფოსათვის დმანისური კარტოფილის პირველი ტონების მიყიდვა.

რაიონის მშრომელებს აღებული და სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის თუ მომხმარებლისათვის გაგზავნილი აქვთ 7.500 ტონაზე მეტი კარტოფილი, ცხადია, ეს ბევრად ნაკლებია გეგმასა და ვალდებულებაზე, მაგრამ დმანისში, როგორც მთის რაიონში ამ კულტურის მოსავლის აღება მხოლოდ ახლა შედის ძალაში, და არის ყველა გარანტია, რომ აქაური მეკარტოფილეები აუცილებლად მიაღწევენ წარმატებას.

დმანისელები აწარმოებენ როგორც საადრეო, ისე საგვიანო კარტოფილს. რაკი საადრეო კარტოფილზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წელს რაიონმა ვერ შეასრულა საადრეო კარტოფილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება, 2.600 ტონის ნაცვლად მხოლოდ 1.600 ტონა ჩააბარა. რაშია საქმე, არ იყო კარტოფილი, თუ რამ გამოიწვია ეს ჩავარდნა?

კარტოფილი კი იყო, მაგრამ იგი ფართობებიდან გაუტანელი დარჩა ტრანსპორტის უქონლობის გამო. სავაჭრო ორგანიზაციებს რომ მეტი მონდომება გამოეჩინათ, ასეთი რამ არ მოხდებოდა.

სამწუხაროდ, კარტოფილის გადაზიდვის საქმე მოუგვარებელი დარჩა 16 სექტემბრამდეც: მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად აქ საჭირო იყო 70-80 მანქანა, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ და „ცეკავშირმა“ 14 სექტემბერს გააგზავნეს მხოლოდ 11 მანქანა, 15 სექტემბერს — 2, 16 სექტემბერს — 9. ამის შედეგად მოხდა, რომ საკოლმეურნეო ფართობებზე დიდი რაოდენობით ეყარა აღებული კარტოფილი.

17 სექტემბრიდან ტრანსპორტით უზრუნველყოფის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ზემოთ დასახელებულმა უწყებებმა მიიღეს ქმედითი ღონისძიებანი და სატვირთო მანქანები საჭირო რაოდენობით მიაწოდეს რაიონს.

ახლა კი საქმე თვით მეკარტოფილეებზეა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კარტოფილის ერთ-ერთი მწარმოებელია დმანისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა. (დირექტორი მ. სკაჩკოვი). ამ მეურნეობამ წელს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდოს 510 ტონა კარტოფილი, მაგრამ ამას როდის სჯერდებიან დმანისელები. მათ დამატებით კიდევ 474 ტონის ჩაბარება იკისრეს. 25 სექტემბრისათვის აღებული ჰქონდათ 100 ტონაზე მეტი.

შინდლარის განყოფილება სწორედ ამ მეურნეობაში შედის. მისმა მმართველმა ქ. მამედოვამ გვითხრა, რომ 44 ჰექტარიდან მოსავალი აღებულია 30 ჰექტარზე, საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 14-15 ტონას. ეს აქაური პირობებისათვის ცუდი შედეგი არ არის. განყოფილების თავკაცმა დაასახელა ცალკეული მეკარტოფილეები, რომლებიც სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ, დღეში 800-1000 კილოგრამ კარტოფილს იღებენ. ასეთები არიან ა. შარიფოვა, ნ. ჰუსეინოვა, ხ. მამედოვა, ხოლო ბრიგადირებიდან ყველაზე მაღალი შეფასება მისცეს ხ. ფახრადოვს.

შინდლარის განყოფილება მართლაც მრავალ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს კარტოფილის უხვი მოსავლის მისაღებად, მაგრამ აქ თვალს არ გამოეპარა ზოგი არსებითი ხასიათის ნაკლი. ადგილი აქვს კარტოფილის დიდ დანაკარგებს, საჭიროა მუშახელის მეტი მობილიზაცია. როგორც გაირკვა, იმ დღეს კარტოფილის მოსავლის აღებაზე გაცილებით ნაკლები მუშა გამოვიდა, ვიდრე რეალური საშუალება არსებობდა: შეინიშნება ისიც, რომ მოსავლის აღებაზე ძირითადად ქალები მუშაობენ, მამაკაცების ერთი ნაწილი კი ამ დროს უსაქმურად არის.

როგორც პარტიის რაიონულ კომიტეტში გვითხრეს, წელს 12 ათასი, ხოლო მომავალ წელს 15 ათასი ტონა კარტოფილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის შემთხვევაში რაიონის მშრომელები პირნათლად გამოვლენ ხუთწლიანი გეგმის წინაშე.

ამრიგად, ამოცანა ნათელია: რაიონის მეკარტოფილეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ მისი განხორციელებისათვის.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის

საქართველოს სსრ სასამართლოს ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება

გაიმართა საქართველოს სსრ სასამართლოსა და იუსტიციის დაწესებულებათა მუშაკების რესპუბლიკური აქტივის კრება. კრებაზე განიხილეს „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა საკითხი.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა გ. მაისურაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ჩ. წულაია, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე დ. თამაზაშვილი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილების უფროსი ს. გაგლოევი, თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლე ს. მედვედევა, თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ო. ისაკაძე, ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. იობიძე, რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ზ. ცქიტიშვილი, ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ლ. ჯღარკავა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. თოფურიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს პარტბიუროს მდივანი ე. მეტრეველი, თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი ზ. ისაკაძე, მმაჩის რესპუბლიკური არქივის უფროსი ც. ხომერიკი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. შავგულიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. პაიჭაძე.

თათბირზე აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაობის საკითხის განხილვას რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების, არამედ რესპუბლიკის ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაობის შემდგომი ძირეული გაუმჯობესებისათვის. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ იუსტიციის სამინისტრო გარკვეულ მუშაობას ეწევა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და ახალი კანონპროექტების შემუშავებისათვის. ამასთანავე, რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. სამინისტროს საქმიანობა სასტიკად, მაგრამ სამართლიანად არის გაკრიტიკებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში არასახარბიელო მდგომარეობას. მათს მუშაობაში ჯერ კიდევ გვხვდება ლიბერალიზმის, უპრინციპობის, ბიუროკრატიზმის, პროტექციონიზმისა და მექრთამეობის ფაქტები. სასამართლოს მუშაკებმა ჯერაც ვერ გამოიტანეს საჭირო დასკვნები პარტიის მითითებებიდან და კანონის მოთხოვნებიდან, რომ საშიშ დამნაშავეთა დასჯის მკაცრი ღონისძიებანი სწორად უნდა შეუხამონ იმ პირთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული, შეიგნეს თავიანთი დანაშაული და შეუძლიათ გამოსწორდნენ საზოგადოებისაგან მათი იზოლაციის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე დასახულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მექრთამეობისა და სხვა განსაკუთრებით საშიში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანა, ზოგიერთი მოსამართლე ზოგჯერ დაუსაბუთებლად ლმობიერ სასჯელს უნიშნავს თავის გადაწყვეტილებებში იმ პირთ, რომლებმაც ასეთი დანაშაული ჩაიდინეს.

აქტივის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სასამართლოთა საქმიანობის დონე არ შეესაბამება პარტიის მოთხოვნებს, რომელთა მიზანია სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება, დამნაშავეობის თავიდან აცილება და აღმოფხვრა.

აქტივის კრებაზე მოიყვანეს იმის ფაქტები, რომ დაუსაბუთებლად სდებენ მსჯავრს მოქალაქეებს და ამართლებენ დანაშაულის ჩამდენ პირებს, არასწორ იურიდიულ კვალიფიკაციას აძლევენ დანაშაულს, ხელყოფენ დაცვის უფლებებს. აღინიშნა, კერძოდ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლოები არ უზრუნველყოფენ საქმის ყოველმხრივ, სრულად, ობიექტურ გამოძიებას, არ ავლენენ ბრალდებულის როგორც მამხილებელ, ისე გამამართლებელ გარემოებებს.

სასამართლოს ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს კანონის მნიშვნელობას, რომელიც მართლმსაჯულების აღსრულების ურყევი საფუძველია, და სასამართლოს როლს, რომელსაც მინდობილი აქვს განსასჯელის ბრალეულობისა და მისთვის სასჯელის გამოტანის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სასამართლო გამოძიების ხარისხის ამაღლების პრობლემებს. სასამართლო გამოძიების ცუდი ხარისხის გამო სასტიკად და პრინციპულად გააკრიტიკეს ვანის, ჩხოროწყუს, ბოგდანოვკის რაიონების, ფოთის, თბილისის პირველი მაისის რაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და სხვა სახალხო სასამართლოები.

აქტივის კრებაზე გამოვლინდა მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ დღემდე ვერ მოეღო ბოლო სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვის გაჭიანურებასა და გამოძიების ვადების უხეშ დარღვევებს, კერძოდ, მარნეულის, საჩხერის, ხობის, აბაშის, თეთრიწყაროს, ახმეტის, მესტიის, მცხეთისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონების სახალხო სასამართლოებში.

კრების მონაწილეებმა სერიოზული ყურადღება დაუთმეს სასამართლო საქმიანობის კულტურის ამაღლების საკითხებს, რაც განუყრელად დაკავშირებულია სოციალისტური კანონიერების ზუსტ და განუხრელ დაცვასთან და მუშაკის პოლიტიკური სიმწიფისა და საქმიანი კვალიფიკაციის მაჩვენებელია, მოწმობს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის სწორ გაგებას. ზოგიერთი მოსამართლე ცუდად აწყობს სასამართლო პროცესებს, მომთხოვნელობით არ ეკიდება უმნიშვნელოვანესი სასამართლო დოკუმენტების შედგენას, ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა ცალკეული მოსამართლენი სასამართლო სხდომის დროს თავიანთ აზრს საქმის არსის შესახებ გამოთქვამენ სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მიღებამდე, უტაქტოდ ეკიდებიან პროცესის მონაწილეებსა და მოქალაქეებს, რომლებიც ესწრებიან სასამართლოს სხდომას.

სასამართლოები დამაკმაყოფილებლად არ ანაზღაურებენ დამნაშავეთა მიერ მიყენებულ ზარალს. მთელ რიგ შემთხვევებში სასამართლო აღმასრულებლები არ იჩენენ აქტივობას მსჯავრდებულთა ქონებისა და ფულადი სახსრების ჩამორთმევაში, დროზე არ გზავნიან დოკუმენტებს შესასრულებლად, იშვიათად მიმართავენ განმეორებითს შემოწმებას და არ აკონტროლებენ სახდელის სისწორეს.

კრებაზე აღინიშნა, რომ გორის, ხაშურის, მცხეთის, ქალაქ თბილისის ლენინისა და პირველი მაისის რაიონების სასამართლოები ჯერ კიდევ ჯეროვნად არ აფასებენ გამსვლელი პროცესების როლსა და მნიშვნელობას დამნაშავეობის თავიდან აცილებისათვის მუშაობაში. ყოველთვის ღრმად და ყოველმხრივ როდი სწავლობენ დამნაშავეობის მიზეზებსა და დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებს. ამ საკითხებზე გამოტანილი კერძო განჩინებანი და წარდგინებანი ხშირად ზერელეა, არ შეიცავენ ღრმა ანალიზს, არ სახავენ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზებს. კერძო განჩინებათა შესრულების, ჯეროვანი კონტროლის უქონლობა არცთუ იშვიათად უბრალო ფორმალობად აქცევს მათ.

სერიოზული ნაკლოვანებანია საზოგადოებრიობასთან, სახალხო რაზმეულებთან და ამხანაგურ სასამართლოებთან კავშირის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის მუშაობაში. საზოგადოებრიობას სუსტად აბამენ დამნაშავეობისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. სახალხო მსაჯულთა საბჭოების მუშაობა ხშირად ფორმალურია. სასამართლოს მუშაკები სათანადოდ არ იყენებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის მუშაობაში.

აქტივის კრებაზე მწვავედ დაისვა საკითხი სამოქალაქო საქმეების, კერძოდ, შრომითი კონფლიქტების განხილვისას კანონების დარღვევის შესახებ.

რითი აიხსნება ესოდენ სერიოზული ნაკლოვანებანი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობაში? აქტივის კრებაზე ამომწურავი და პრინციპული პასუხი გასცეს ამ კითხვაზე. ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ბევრი მოსამართლე ჯერ კიდევ არ გამსჭვალულა მინდობილი საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით. ისინი ყოველთვის როდი ითვალისწინებენ, რომ საქმეთა განხილვის დროს წყდება ადამიანის ბედი, რომ მოსამართლეებს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებისათვის.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა მკაცრად და პრინციპულად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, რომელიც საკმაოდ ღრმად და ყოველმხრივ არ სწავლობს სახალხო სასამართლოების საქმიანობას, იშვიათად განაზოგადებს მათი მუშაობის გამოცდილებას, არ აწყობს კომპლექსურ შემოწმებას, სათანადო მეთოდიკურ დახმარებას არ უწევს სასამართლოებს. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იუსტიციის სამინისტრო ჯეროვნად არ ზრუნავს სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების მუშაკთა პოლიტიკური დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ მათ ჩაუნერგოს პრინციპულობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, კანონის ღრმა პატივისცემა და გადაწყვეტილებათა მიღების დროს დამოუკიდებლობა.

სამართლიანად გააკრიტიკეს იუსტიციის სამინისტრო მუშაობის სამართლებრივი პროპაგანდის დარგშიც. ცნობილია, რომ ამ მუშაობის შეფასების მთავარი კრიტერიუმია სამართალდარღვევათა ფაქტიური შემცირება, საზოგადოებრივი წესრიგის რეალური განმტკიცება. მაგრამ ამ ამოცანას ჯერჯერობით ნელა წყვეტენ. სამართლებრივი პროპაგანდისათვის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინა სამინისტრომ სამტრედის, ცხაკაიას რაიონებსა და ფოთში.

კრებაზე აღინიშნა, რომ მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია აქტუალურ საკითხებზე და, განსაკუთრებით სამეურნეო სამართლის დარგში, საკანონმდებლო აქტების მომზადებასთან სამინისტროს არ გამოუჩენია სათანადო ინიციატივა და სიმტკიცე. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში იშვიათად აბამენ მეცნიერებსა და სხვა სპეციალისტებს. კანონპროექტების შემუშავებისას ყოველთვის ზუსტად როდი ითვალისწინებენ ობიექტურ კანონზომიერებებსა და რესპუბლიკის საზოგადოებრივი განვითარების მოთხოვნილებებს, აგრეთვე შეტანილ წინადადებათა განხორციელების მოსალოდნელ პრაქტიკულ შედეგებს.

იუსტიციის სამინისტროს ჯერ კიდევ არ შეუქმნია სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ორგანიზაციის ზუსტი და კარგად მოფიქრებული სისტემა. სათანადო მეთოდიკურ დახმარებას არ უწევენ საწარმოებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მშენებლობებს, რათა სამართლებრივი საშუალებანი გამოიყენონ წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის, სახელმწიფო შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების მუშაობასაც. ეს იწვევს აგარაკებისა და საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის, ავტომანქანების ჩუქების გაფორმების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის დარღვევას.

როგორც კრებაზე აღინიშნა, ადვოკატურის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ჯეროვანი მომთხოვნელობით არ ეკიდებიან ადვოკატთა კოლეგიის წევრებს, დღენიადაგ არ ზრუნავენ მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და საქმიანი კვალიფიკაციის დონის ამაღლებისათვის. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ადვოკატები უღირსად იქცევიან, მიმართავენ გამომძალველობას, ღალას ადებენ კლიენტებს. ჯერ კიდევ ვერ მოეღო ბოლო ისეთ მოვლენებს, როცა ადვოკატები იმის ნაცვლად, რომ დაეხმარონ საქმის გამო ჭეშმარიტების დადგენაში, ხელს უშლიან მართლმსაჯულების ნორმალურ აღსრულებას, არღვევენ ეთიკის ელემენტარულ ნორმებს, რითაც ლახავენ როგორც ადვოკატურის, ისე საბჭოთა მართლმსაჯულების ავტორიტეტს.

აქტივის კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო კადრების შერჩევისათვის განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობის საკითხებს. ზოგიერთი სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოს საქმიანობის დაბალი დონის, სასამართლო მუშაკების მიერ სოციალისტური კანონიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დარღვევის, ლიბერალიზმისა და პროტექციონიზმის გამოვლინების მთელი რიგი ფაქტების მიუხედავად, ბევრ მათგანს არ მიუზღეს საკადრისი პასუხი და პრინციპულად არ შეაფასეს მათი მოქმედება.

აქტივის კრების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

აქტივის კრებამ დაადასტურა, რომ აღნიშნული ნაკლოვანებანი, ხარვეზები და შეცდომები სასამართლოსა და იუსტიციის ორგანოების საქმიანობაში ხელს უშლიან დამნაშავეობის წინააღმდეგ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის სწორ ორგანიზაციას. სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს, რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებს.

განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუშაობის შესახებ“, სასამართლო ორგანოებისა და იუსტიციის დაწესებულებების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებამ იგი მიიღო ხელმძღვანელობისა და განუხრელი შესრულებისათვის.

კრებაზე გამოითქვა რწმენა, რომ სასამართლოსა და იუსტიციის მუშაკები პირნათლად შეასრულებენ ჩვენს საზოგადოებაში მართლმსაჯულების ორგანოებისათვის დაკისრებულ დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ხინტბა.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორი ა. ტაკიძე.

აქტივის კრების მუშაობის შედეგები განიხილეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე. კოლეგიამ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსი. (საქინფორმი).

„საქართველოს კომუნისტი“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი მეცხრე ნომერი.

ნომერი იხსნება რუბრიკით „მთელი ჩვენი ძალები — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებათა სრულად განხორციელებას“, სადაც დაბეჭდილია სტატიები და წერილები. მოწინავე — კეთილდღეობის ახალი, ფართო ჰორიზონტები; თ. ჯაფარლი — ხელმძღვანელის მორალური ავტორიტეტის შესახებ; ნ. იაშვილი — მიწას — მშობლიური ზრუნვა.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სტატიები: ბ. ვართანოვი — სამეურნეო ანგარიში და მატერიალური სტიმულირება; ვ. კაჭარავა — საქართველოს არქივები ახალი ამოცანების წინაშე.

„პარტიული ცხოვრების“ განყოფილებაში დაბეჭდილია რ. ჩოჩიევის სტატია — პარტიული პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლება პარტიული ორგანიზაციების აქტუალური ამოცანაა. თ. ზუკაკიშვილი — მშრომელთა ეკონომიური განათლების ეფექტიანობის კრიტერიუმები.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „დიდი სამამულო ომის დამთავრების 30 წლისთავისათვის“, „კულტურის საკითხები“, „ჩვენი პრესა“, „კრიტიკა და პუბლიცისტიკა“.

მსოფლიო დღეს

მეგობრული შეხვედრები ვარშავაში

ვარშავა, 30 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით გუშინ ვარშავაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვარშავის აეროდრომზე ა. ა. გრომიკოს დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგე რ. ფრელეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის სამდივნოს კანცელარიის გამგე ე. ვაშჩუკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ქებროვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ა. პილოტოვიჩი და საელჩოს თანამშრომლები.

აეროპორტში ა. ა. გრომიკო შეხვდა ჟურნალისტებს და გააკეთა განცხადება:

მოხარული ვართ, რომ უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე მეორედ ვეწვიეთ მოძმე სოციალისტურ პოლონეთს. რა მინდა უწინარეს ყოვლისა ვთქვა ამ მომენტში?

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის თავისი მასშტაბით ისტორიულ ბრძოლაში საბჭოთა კავშირი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოები ერთიანი ფრონტით, ერთსულოვნად მოქმედებენ. მოძმე ქვეყნების საგარეოპოლიტიკური მოქმედების კოორდინაცია დღეს განსაკუთრებით ღრმა და ეფექტიანია.

სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას — ყველას ერთად და თვითეულ ქვეყანას ცალ-ცალკე — მივაღწიოთ დიდ შედეგებს საერთაშორისო ასპარეზზე.

ამასთან, რა თქმა უნდა, თვალს არ ვარიდებთ იმასაც, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცების ამოცანა, რომელიც სოციალისტურმა სახელმწიფოებმა დაისახეს, სრულიადაც არ არის იოლი.

ყველას გვახსოვს ის ამაღლებული დღეები, როცა სოციალისტურმა პოლონეთმა აღნიშნა თავისი ეროვნული აღორძინების 30 წლისთავი. მოძმე პოლონეთის დიდ დღესასწაულს საბჭოთა კომუნისტები, მთელი ჩვენი ხალხი შეხვდნენ როგორც საკუთარ დღესასწაულს, რადგან უდიდესი მიღწევები, რომლებითაც პოლონეთის მშრომლები სამართლიანად ამაყობენ, ახლობელი და ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის.

დიდად ვაფასებთ ჩვენს პარტიებს, ქვეყნებსა და ხალხებს შორის დამყარებულ მეგობრობასა და ძმობას. საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საერთაშორისო საქმეებში ჩვენი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა სოციალისტური თანამეგობრობის ყველა სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობის განუხრელი განმტკიცება.

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ ყოველივე საუკეთესო ვუსურვო შესანიშნავი ქალაქის — ვარშავის მცხოვრებლებს.

30 სექტემბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში ა. ა. გრომიკო შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ოლშოვსკის.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

მდგომარეობა პორტუგალიაში

ლისაბონი, 30 სექტემბერი (საკდესი). პორტუგალიაში მდგომარეობა ნორმალიზებულია. მუშაობს ყველა რადიო და სატელევიზიო სადგური. ცხოვრება ყველგან ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. იტყობინებიან, რომ გუშინ რეაქციულმა ძალებმა წარუმატებლად სცადეს პროვოკაციულად გამოეწვიათ შეიარაღებული შეტაკება პორტუგალიის დედაქალაქში და ხელთ ეგდოთ ეროვნული რადიოსადგურის შენობა. დაპატიმრებულია 300-მდე კაცი.

ეროვნულმა რადიომ გადმოსცა ცნობა, რომელშიც ნათქვამია: „რეაქციას ლახვარი ჩასცეს. იმის გამო, რომ კონტრრევოლუციის გამოხდომას სერიოზული ხასიათი ჰქონდა, შეიარაღებული ძალები იძულებული გახდნენ ენერგიულად და გადაჭრით ემოქმედათ. „შეიარაღებული ძალების მოძრაობამ" კიდევ ერთხელ მოიხადა თავისი ვალი პორტუგალიელი ხალხის წინაშე". ცნობა მთავრდება სიტყვებით: „რეაქცია ვერ გაიმარჯვებს. ჩვენ კონტრრევოლუციურ ძალადობას რევოლუციური ძალადობით ვუპასუხებთ"

დედაქალაქში დემოკრატიული ორგანიზაციები აწყობენ ხანმოკლე მრავალათასიან დემონსტრაციებს

პარიზი, 29 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის კორესპონდენტი გადმოგვცემს ლისაბონიდან: უკვე მეორედ აპრილის გადატრიალების შემდეგ პოლიტიკურ კრიზისს პორტუგალიაში, რომელიც ერთი შეხედვით მემარჯვენე ძალების სასარგებლოდ უნდა შემობრუნებულიყო, მოჰყვა მემარცხენე ძალების განმტკიცება. მისმა შედეგმა შეადუღაბა კავშირი „შეიარაღებული ძალების მოძრაობისა" და კომპარტიას შორის, რომელსაც არაერთგზის დაუმტკიცებია, რომ იგი ქვეყნის ყველაზე ორგანიზებული პოლიტიკური ძალაა, კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ იმ აქციების ბლოკირებას, რომლებიც შესაძლოა მემარჯვენეთა ამბოხებად გადაქცეულიყო.

ამბები • ფაქტები

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ტელეტაიპის ლენტიდან

□

გაიხსნა ასტრონავტთა კონგრესი

● **ამსტერდამი,** (საკდესი). დღეს აქ „რაის" საგამოფენო კომპლექსის კონგრესთა დარბაზში გაიხსნა ასტრონავტთა 25-ე საერთაშორისო კონგრესი. კონგრესში მონაწილეობს 35 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის 500-მდე დელეგატი. საბჭოთა დელეგატებს შორის არიან აკადემიკოსი ლ. ი. სედოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ი. სევასტიანოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი გ. გ. ჩორნი.

კონგრესის მონაწილენი განიხილავენ კოსმონავტიკის განვითარების მეცნიერულ-ტექნიკურ, მედიკურ-ბიოლოგიურ და იურიდიულ ასპექტებს.

მოკლეს გენერალი კ. პრატსი

● **ბუენოს-აირესი,** (საკდესი). დღეს ავტომობილში ჩადებული მძლავრი ბომბის აფეთქებით მოკლეს ჩილელი გენერალი კარლოს პრატსი — სალვადორ ალიენდეს სახალხო ერთიანობის მთავრობის ეროვნული თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

კარლოს პრატსთან ერთად დაიღუპა მისი მეუღლე. აფეთქება მოხდა, როცა პრატსი მიუახლოვდა გარაჟს თავის სახლთან.

ჩილეში ფაშისტური გადატრიალების შემდეგ პრატსი პოლიტიკურ ემიგრაციაში იყო არგენტინაში.

პორტუგალიის ახალი პრეზიდენტი

ლისაბონი, 30 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ეროვნული რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სპინოლამ გამოაცხადა, რომ გადადგა. როგორც სპინოლამ განაცხადა, ქვეყანაში „შეიქმნა ძნელი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ვითარება", რომელსაც, მისი თქმით, „კონტროლს ვეღარ უწევს".

ხუნის ეროვნულმა საბჭომ ქვეყნის ახალ პრეზიდენტად დანიშნა გენერალი ფ. კოშტა გომეში.

ფ. კოშტა გომეში იყო ხუნის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი.

ეს საინტერესოა

რობოტი — „კოსმონავტი"

ვაშინგტონი, (საკდესი). აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს დაკვეთით კალიფორნიის ტექნოლოგიის ინსტიტუტი და ამერიკის რეაქტიული ძრავების ლაბორატორია შეუდგა ავტონომიური რობოტის შექმნას, რომელსაც გამოიყენებენ მზის სისტემის პლანეტების შესწავლის დროს. პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, რობოტი სატელევიზიო კამერებისა და ლაზერული მოწყობილობის მეშვეობით შეძლებს „დაინახოს". იგი აგრეთვე აღჭურვილი იქნება ლითონის „ხელებით" და შეძლებს დამოუკიდებლად გადაადგილებას. მუშაობის ყველაზე რთული ნაწილი იქნება რობოტისათვის სპეციალური ელექტრონულ-გამოსათვლელი მოწყობილობისა და მისი ისეთი პროგრამების შექმნა, რომლებიც შესაძლებლობას მისცემენ დამოუკიდებლად შეასრულოს მთელი რიგი ოპერაციები.

პროგრამის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მათი მუშაობის წარმატების შემთხვევაში, მსგავსი აპარატები შეიძლება წარმატებით გამოიყენონ დედამიწაზე იმ შემთხვევაში, როცა გაზრდილი რადიაცია ან სხვა ფაქტორები აძნელებენ ადამიანის საქმიანობას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25-ე წლისთავისათვის

უკანასკნელ ხუთ წელიწადში ქ. კოტბუსში აიგო დიდი სასწავლო კომპლექსი, სადაც შედის საინჟინრო ინსტიტუტი, სამშენებლო სკოლა, ორი პროფსასწავლებელი, პედაგოგიური ინსტიტუტი, ორი საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მოსამზადებელი სასწავლებელი და ორი საერთო საცხოვრებელი 3.500 მოსწავლისათვის. ამას გარდა კომპლექსში შედის სპორტული დარბაზები, შენობები საწრეო მუშაობისათვის, სასადილო, კაფე-რესტორანი. ამას წინათ დამთავრდა ბიბლიოთეკისა და სალექციო დარბაზის მშენებლობა.

სურათზე (ზემოთ): კარლ მარქსის სახელობის ქუჩა კოტბუსში, სადაც განლაგებულია სასწავლო კომპლექსის შენობები.

ფოტოეკრანი

დრეზდენის ქარხანა „საქსენვერკის" 10 მუშა დადგა დაზგებთან და ასაწყობ სტენდებთან ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილას" საამქროებში. ერთ თვეს ისინი ლენინგრადელ მშრომელებთან ერთად იმუშავებენ. „ელექტროსილას" კოლექტივი უკვე მესამეჯერ იღებს თავის კოლეგებს დაძმობილებული ქალაქიდან.

სურათზე (მარჯვნივ): გერმანელი ზეინკალ-ამწყობები პეტერ ცილი და როლფ ბარკუტსმიულერი აწყობენ ექსკავატორის ძრავს.



მოსკოვის გემთსაშენებელი და გემთშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ააგო თბომავალი „ზარია" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუმდინარეთა შეკვეთით. ახლა მდინარე მოსკოვზე მიმდინარეობს მისი გამოცდა. კომფორტული ხომალდი იტევს 60 მგზავრს და საათში ავითარებს 48 კმ სიჩქარეს. გამოცდის დამთავრების შემდეგ „ზარია" გაიგზავნება დრეზდენში.

სურათზე (მარცხნივ): თბომავალი „ზარია" გამოცდას გადის.

საერთაშორისო კომენტარი

ვითარება გამწვავდა

არგენტინაში, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში, ამ ბოლო დროს გამწვავდა საშინაო-პოლიტიკური ვითარება. უკიდურესად მემარჯვენე ძალები აშკარა შეტევაზე გადადიან პროგრესული გარდაქმნების კურსის წინააღმდეგ, რომელსაც მთავრობა ახორციელებს. ამ კურსის წინააღმდეგ ილაშქრებენ მემამულეთა ოლიგარქია და მსხვილი ბურჟუაზია. შინაური რეაქციის ძალები მოქმედებენ უცხოეთის მონოპოლიებთან და ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან კავშირით. „ქვეყანაში, — წერს არგენტინელ კომუნისტთა გაზეთი „ნუესტრა პალაბრა", დაძაბული და საშიში პერიოდი დაიწყო".

რეაქცია საზარელ დანაშაულს სჩადის — ხოცავს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, აწყობს დივერსიებსა და აფეთქებებს. გასულ კვირაში მარტო ერთ დღე-ღამეში ასამდე აფეთქება მოახდინეს. თვე-ნახევრის მანძილზე პოლიტიკური მოტივებით დახოცეს 75 კაცი.

მსხვილი საქმოსნები და ვაჭრები აფერხებენ სხვადასხვა საქონლით მოსახლეობის მომარაგებას, ცდილობენ შექმნან ქაოსი ეკონომიკაში. რეაქციის მიზანია მოამზადოს ქვეყანაში ნიადაგი სახელმწიფო გადატრიალებისათვის ჩილეს ნიმუშით.

რეაქციული ძალები უკმაყოფილო არიან იმის გამო, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფმა პერონისტულმა პარტიამ — განთავისუფლების ხუსტისიალისტურმა ფრონტმა, რომელსაც პრეზიდენტის არჩევნებში მხარი დაუჭირა არგენტინელი ხალხის უმრავლესობამ, ნება დართო ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას, მათ შორის კომპარტიას, ლეგალურად იმოქმედონ. მემარჯვენეები მტრულად შეხვდნენ მთავრობის ამასწინანდელ გადაწყვეტილებას ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაყიდვის და განაწილების მთელი სავაჭრო ქსელის ნაციონალიზაციის შესახებ. ლატიფუნდისტები უკმაყოფილო არიან მთავრობის კანონპროექტით აგრარული რეფორმის შესახებ. რეაქციას ხელს არ აძლევს არგენტინის დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური კურსიც, რომლის მიზანია ყველა ქვეყანასთან, მათ შორის სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის გაფართოება და განმტკიცება.

მემარჯვენეთა აქტივიზაციის მიუხედავად, ქვეყანაში არის საკმარისი ძალები, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ მათს შეტევას. ყველა უდიდესმა პოლიტიკურმა პარტიამ დაგმო ტერორი და მხარი დაუჭირა მთავრობას. გარდაქმნებს, რომლებსაც იგი ახორციელებს, იწონებენ ხალხის ფართო მასები. ამ დღეებში არგენტინის მთავრობამ ეროვნულ კონგრესს გაუგზავნა კანონპროექტი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სასტიკ სასჯელს კონსტიტუციური წეს-წყობილების დარღვევისა და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. არგენტინელ კომუნისტთა აზრით, ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ფართო ფრონტის შექმნა, რომელიც გააერთიანებს მთელ დემოკრატიულ და ანტიიმპერიალისტურ ძალებს. კომპარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეაქციის ხრიკებს უნდა დაუპირისპირონ მასების მოძრაობა ქვეყანაში კონსტიტუციური წესების დასაცავად. (საკდესი).

ხუტა ბერულავა

მიწა და ფოლადი

ნაწყვეტები პოემიდან*

მესაუბრება ვანო თელია

თითქოს დავშორდით ერთმანეთს გუშინ,
თითქოს ვოლგასთან ვდგავართ ისევ...
რაც დარჩა და ელვარებს გულში
ყველაფერს ერთად რა გაიხსენებს!

წლები გასულან... მერე რამდენი...
წლები კი არა, ქარის ფრთებია!
არ ბერდებიან მეფოლადენი,
ცეცხლთან ბრძოლაში არ იღლებიან.

მეც იმ ფოლადის რაზმის წევრი ვარ,
მეც მათთანა ვარ ჭირში და ლხინში.
არცა მოწყენის განცდა მწვევია,
არც დაღლილობის ეჭვი და შიში.

როცა რუსთავის დილა იღვიძებს,
დიდი ქარხნისკენ მიმიხარია.
ჩემი ღუმელიც მშვიდად გიზგიზებს,
ოსტატად რომ მთვლის დიდიხანია.

შევეთვისე და შევესისხლხორცე
ქალაქს, ძმობის და ფოლადის ქალაქს.
ასე მგონია, მისმა სიცოცხლემ
მეც მომანიჭა ორმაგი ძალა;

ასე მგონია, უამქალაქოდ,
ვით უჰაეროდ, არ შემიძლია!
ვარსკვლავიც, მასთან თუ ლაპარაკობს,
ჩემი და არის, ჩემი ღვიძლია!

აქ ცხოვრობს თითქმის ორმოცი ერი
და ყველა ქართულ მიწა-წყალს
ჰფიცავს.
რუსთავი ორმოც ენაზე მღერის
და ისე ხვდება ამოსვლას მზისას.

ის მზე თანაბრად გვინათებს ციდან,
ყველას გვიღიმის ერთიან, სათნოდ.
თანაბრად გვცივა, როდესაც გვცივა
და... სიხარულით ერთმანეთს ვათბობთ.

მწამს, ვინც რუსთავის ღირსი მკვიდრია,
და მჯულს, ვინც არის ქვეყნის ურგები.
ძმას გულში ცეცხლი რომ უკიდია,
იმ ცეცხლის ალში მეც ვიბუგები...

რად ვერ გაექცა მთებს წიკლაური

ყველა, ვინც იყო ვოლგაზე ჩვენთან,
თანდათანობით აქ დაბანაკდა,
და მხოლოდ გაბრომ ვერ სძლია სევდა
კლდეთა, ღრუბელთა, ცათა, ქარაფთა!

ვისაც უხილავს რიყრაყი მთაში,
სხივებს რომ იკრებს ანდამატივით,
კლდეზე შველივით მფრინავი ვაჟი,
როშკის ჩანჩქერი ანდა შატილი, —

იგი იგრძნობს და გაბროს გაუგებს,
როგორც მოძღვარი წმინდა ბუნების,
რად მიუბრუნდა ნაცნობ ქაუხებს
შთამომავალი წიკლაურების;

იგრძნობს, გაუგებს და არ დაძრახავს
რადღა უარყო რკინის ხელობა,
როდის და რატომ ვერ გადალახა
მთათა მაღალთა მიმზიდველობა!

ლექსად გვიგზავნის ჩვეულ ბარათებს
და ძმადნაფიცებს გვარწმუნებს ბარში:
„როცა ხევსური მთებს უღალატებს,
მოეწყინებათ ირმებსაც მაშინ!

არ მესმის, თუმცა გულღიად ვნანობ,
ჩვენები ქალაქს რად აწყდებიან?
მთები უხალხო, უჰავნანო,
განა მთებია? რაღა მთებია!"

გაბრო წიკლაურს ეთანხმებიან
კოლხეთს გაზრდილი კაცის ფიქრებიც:
— თუკი ხევსურნი ვერ დადგებიან,
ხევსურეთი ხომ აღარ იქნების?

არა ღრუბლებს და არა ქარწვიმებს,
ხევსურს ეკუთვნის მთების ნათელი,
საკუთარ სულსაც გაუნაწილებს
მის აღზევებას ყველა ქართველი!

დედა-თბილისს და თანამგზავრს მისას
არ ავიწყდებათ არწივთა ბუდე,
რომელსაც ლოცავს მშობელი მიწა,
რომელსაც მკერდში ფოლადი უდევს...

ეჰ, გაბრო, გაბრო! როგორ მახარებს
მისი სახელის ხშირი ხსენება!
ჩვენი ბიჭები როცა მნახავენ,
მასზე ვსაუბრობთ და გვეჩვენება,

რომ უმისობა დალევით აზის
ვოლგისპირეთში ნაწრთობ გვარდიას.
გულში ბინადრობს ნაღველი ნაზი
და ყველა ჩვენგანს გაბროს დარდი
აქვს...

მაშა-მარიკა...

ბებია! მისი ძალა, სიმხნევე,
როგორც ყრმობისას, დღესაც მაოცებს
და ვეფერები ნაზად იმ ხელებს,
მის გამხდარ ხელებს, თმებს და
ნაოჭებს.

როდესაც მაშას ფოტოსურათი
ვაჩუქე ერთხელ საფიცარ გამზრდელს,
მისმა წარწერამ შეძრა გულამდის,
გადამეხვია და მითხრა ასე:

— სასაყვედურო რა უნდა მქონდეს, —
გოგოს კი არა, ხატსა ჰგავს უფრო!
მაგრამ როდესაც ეწვევა კოლხეთს,
როგორ გსურს, მასთან გამასაუბრო?

მე გამეცინა: — ბებო, ვასწავლი,
ოღონდაც სხვამხრივ არ დაიწუნო!
— ღმერთო, მის ხილვას მეც
მომასწარი...
რაო, ისწავლის? მართლა ვირწმუნო?

არ დამიჯერა, ჩანდა, ბებიამ
და მომაწოდა ლეღვის კალათა.
— შეხე, რა მწიფე და კარგებია, —
მე დაგიკრიფე ადრიანადა!

დაბადებიდან ამ ლეღვის ტოტებს
მთელი სოფელი ჰყავს მისეული.
...საწყალ დედაშენს (ეს იყო როდის?)
უყვარდა ბაღი პაპისეული.

მახსოვს, ქორწილის მეორე დილით
როგორ დავკარგეთ ჩვენ პატარძალი!
გადამირია კინაღამ შვილი
და... ვნახე გოგო ხეზე ამძვრალი.

ლეღვს მიირთმევდა და არხეინად
იმზირებოდა ღიმილის ფრქვევით.
— ნეტავ, ეს ტოტი დამარხევინა,
რომ ჩამოეშვას ძირს თავისმტვრევით!—

გავიფიქრე და ვინანე სწრაფად:
— თუმცა უხდება დედოფლის კაბა,

ჯერ ხომ ჩვიდმეტი წლისაც არ არი,
მას ვენაცვალე, ბავშვია ჯერაც.
გულუბრყვილოა, წმინდა, ალალი,
გამილამაზებს მადლიან კერას!

ჩამოხრიალდა, მკერდში ჩამიკრა
და შინ წავედით სიცილ-ხარხარით...
ის კი... რას მეტყვის შენი მარიკა,
შენი ვოლგელი მზეთუნახავი?

შორი მდინარის პირას შობილი
მომეფერება დედაშვილივით?
მოეწონება ჩვენი სოფელი,
სადაც შენს დარდად მე ვარ შთენილი?

მოეწონება. ჰო, შვილო ვანო,
რაკი უყვარხარ, ასე იქნება!
წეღან რომ გითხარ, იმასღა ვნანობ,
მე უენობის არ მეფიქრება.

არა ღირს, ბიჭო, წინასწარ ჯვარცმა!
წყალს წაუღია დარდიც და კვნესაც!
თვალებით ვამცნობ, სათქმელი რაც
მაქვს,
ხელებით ვამცნობ ხვაშიადს ჩემსას.

ალერსით ვეტყვი, სიჩუმით ვეტყვი,
ღიმილით ვეტყვი და ვაგრძნობინებ,
ამ სიყვარულით და გულისფეთქვით
რა სიხარულის ტალღა მომფინეთ! —

ასე, ამგვარად მითხრა დიდედამ
და მერამდენედ გადამეხვია.
ჭავრი გატეხას ვით გამიბედავს,
როცა მოხუციც არ გამტეხა.

ჩემი ქალაქის შემქმნელები

მაინც რა ჩუმად იწყება ხშირად
პატარა საქმე თუ დიდი საქმე,
რისთვისაც მერე ჩაგთვლიან გმირად,
რისთვისაც მერე ქვეყანა გაქებს!

მაინც რა თრთოლვით იწყება მუდამ
მცირე არის თუ დიდი ოცნება,
რომელსაც დიდხანს უმზერენ მრუდად,
რომელსაც მერე ვთვლით საოცრებად!

როგორ ცხოვრობენ, რა მოკრძალებით
კეთილი საქმის ფუძემდებლები,
რომ არ გაურბით ცისკენ თვალები,
რომ არ უმშვენებთ გულმკერდს
მედლები!

აგებენ ტაძრებს, გიგანტებს ჰქმნიან,
სასახლეები აჰყავთ ცათამდე.
იღვწიან, ვიდრე — ადრე თუ გვიან —
დაიკვნესებენ: — ვკვდები, გავთავდი...

ხაშვიც არა აქვთ ტაძრის თუ ქარხნის,
რაიც ააგეს მათმა ხელებმა,
როგორც მშობელი ქართველი ხალხის
სიამაყე და საკვირველება.

ზოგჯერ მათ გარჯას სხვას მიაწერენ,
ხმას არ იღებენ, ვითარ მუნჯები.
არ გააჩნიათ რა ხელწერილი,
ხმაც ამოიღონ, ვინ დაუჯერებს!

მათ ხელწერილი არ უთხოვიათ,
არცა დიდება, არც ჯილდოები,
და უცხოვრიათ, რაც უცხოვრიათ,
ქვეყნის მაღალი საჭიროებით.

დიდსა და მცირეს, ყველას უკლებლივ
არდავიწყების კეთილი სიტყვა!
როცა მომავალს ვესაუბრებით,
ეს უნდა ითქვას, მთელი ხმით ითქვას.

ამას დღეს ვამბობ, როცა მწადია
ვახსენო იგი — რუსთავის ჯავრი,
ვინც ვერ გაუძლო შფოთვას დარდიანს
და კალკუტაში დაეცა მკვდარი;

ვახსენო იგი — ერთი მათგანი,
ვისაც ეკუთვნის ჩვენი თაყვანი!

მთელი სიცოცხლით ქარხანას ენდო,
ვით ენდობოდა მთელი ქარხანა.
დედა-თბილისმა წაგვართვა ერთ დროს,
მაინც დაბრუნდა და გაგვახარა.

რაც უნდა დიდი საქმე მიენდოთ,
მხოლოდ ფოლადით სუნთქავდა მარად.
და ურუსთავოდ. ვით უიმედოდ,
ვერ იცოცხლებდა... და ჩაჰქრა ჩქარა!

ვის გაუგია საქმე ამგვარი?
არც კი აუხსნეს, რად მოინდომეს, —
არც ახალგაზრდა, არც ჯანმაგარი,
რომ გაამგზავრეს, ძმაო, ინდოეთს!

უხმოდ, უსიტყვოდ წავიდა ჩვენგან,
ვერც კი მოასწრო გამოთხოვება
იმ ხალხთან, ვისაც გუშაგად ედგა
და შეალია მთელი ცხოვრება.

ამას დღეს ვამბობ, ვით უკვდავება,
როცა თავს მადგას წმინდა აჩრდილი!
...მაშინ კი დამხვდა თავის კარებთან
თავაზიანი და მხრებგაშლილი.

წინ ედგა ჩაი, დიდი ხნის წინათ
გაცივებული... ნატეხი პურის...
დამიდგა სკამი და ქუჩის გრგვინვას
სარკმლიდან წამით მიუგდო ყური.

მიმოდიოდა ოთახში იგი,
ფიქრი რომ სწვავდა უშველებელი,
კაცი კი არა, ფოლადის წიგნი —
რუსთავის ერთი ფუძემდებელი.

ჩანდა, ებრძოდა იდუმალ ტკივილს,
არ ასვენებდა მარადი იჭვი...
მერე გაალო კარადა რკინის
და მომაწოდა ბარათი ბიჭის.

ვოლგისპირეთელი

ვისაც უხილავს ბრძოლა ნამდვილი
და უშრომია ნამუსიანად,
ვაგლახ, როდია მისთვის ადვილი
დაემშვიდობოს წარსულს მთლიანად.

უარი სტყორცნოს წარსულს შფოთიანს,
ვინ გამოჩნდება ჩვენში, რომელი?
რაღაც სიმძიმე ანუ ლოდია
ეს უცხო სიტყვა: — პენსიონერი!

როცა საყვარელ საქმეს შორდება
და შინ ტაატით მიდის მაშვრალი,
თითქოს შორეულ გზას ელოდება,
ვით ჯარისკაცი, ისე მარშალი.

თითქოს შორეულ გზას ელოდება,
თითქოს ცხოვრება ახლა თავდება!
ახალგაზრდობა არ მეორდება,
მაგრამ ხომ არი სხვა თავდადება?

სხვა თავდადება და გატაცება,
სხვა გატაცება და ჟრუანტელი,
ხვალის თაობის დავაჟკაცებას,
რომ შეაშველოს სიბრძნის ნათელი!

ო, გაუძნელდა ფროლოვსაც ძალუმ
დრო დასვენების რაკი დაუდგა!
რაც ემსახურა ერთგულად მამულს,
არ ეყო თითქოს... დაღლილს რა უგავს?

სხვა მეთაურობს საამქროს ახლა
ფროლოვისეულ თავგამეტებით,
და იგი მაინც დატოვა ხალხმა,
როგორც მოძღვარი ახალბედების!

კვლავაც უთენია დგება ოსტატი,
სძულს ნებიერა და ძილისგუდა.
მზის ამოსვლამდის, მზის ამოსვლამდის,
მზის ამოსვლამდის ხედავენ მუდამ —

ვოლგის ქალაქის მწვანე ქუჩები,
ვოლგისპირეთის თეთრი დღეები,
თვალები, ცეცხლის ალს შეუჩვეველ
უწვერულვაშო მოწაფეების...

ივანე ფროლოვს ვესტუმრე შარშან.
მიიჩქაროდა ქარხნისკენ დილით.
ვერ მოვასწარი ხელების გაშლა,
მკერდში ჩამიკრა, ვითარცა შვილი.

გამიყოლია მეც ქარხანაში,
თავის ერთგულ და ჭკვიან ბიჭებთან.
კვლავინდებურად მხნე და ხალასი
გოლიათივით მიაბიჯებდა.

საგუშაგოსთან შევჩერდით წამით.
საშვი ამიღო თავისი ხელით.
დამწყდა გული და ვიტირე ლამის,
რომ ვერ ვიხილე დარაჯი ძველი.

— ბაღში დავმარხეთ დიდი პატივით,
ომში დაღუპულ ვაჟკაცთა გვერდით...
წასულ მეგობრებს ფიქრში დავტირით
და მათ სახელებს ვატარებთ მკერდით.

ვატარებთ, ვიდრე ჩვენც სული გვიდგას
და მოგონების ჯანღში არ ვცურავთ.
გადარჩენილნი უამრავ გრიგალს
რომ დავეცემით ჯარისკაცურად,

დაგვენანება მყის უთქმელობა,
ეს ცა, ეს მიწა, ბრძოლის ჰანგები,
მაგრამ მომავლის მზიურ შენობას
ჩვენ მხოლოდ ჩვენთვის როდი ვაგებდით.

მეც ხვალის დღეზე მიოცნებია,
ახლაც... სიბერე ვერ კი მაჩუმებს.
ჩვენს გმირულ დღეებს ვინც მოსწრებია,
სიცოცხლის იმედს შეინარჩუნებს! —

ბრძანა ფროლოვმა და გაიღიმა.
ხელი მომკიდა და ამაჩქარა.
რაღაც შეიგრძნო, რაღაც იმძიმა,
თუმცა მიზეზი თითქოს არ ჩანდა.

ნაცნობ ქარხანას თვალი მოვკარი,
ოდეს ნაომარს, ნაბარიკადალს...
ასე მეგონა, ვით მეგობარი,
ფოლადის მკერდში მაგრა მიკრავდა.

როცა წამოდგა ოსტატი ერთი

დღეები ზოგჯერ ინისლებიან
ან მიილტვიან ვარსკვლავებს ზემოთ.
მშვიდი ცხოვრება ვის ღირსებია,
მე რომ მქონოდა, ძმობილო ჩემო!

სიმშვიდისათვის არ გავჩენილვარ,
არ მიძებნია მაღალთა კალთა.
რაც შემიქმნია, მარად ჩემია,
არ უჩუქნიათ სხვათა და სხვათა.

როგორც შემოქმედს, მეგობარს, მოძმეს,
ვით აღსარებას, გეტყვი გულღიად,
შენს მონა-მორჩილს (ხალხია მოწმე!)
ოფლი სიმწრისაც ბევრი უღვრია;

მე სხვებზე მეტი, მე სამჯერ მეტი,
მე შვიდჯერ მეტი უნდა ავწიო,
და კიდევ მქონდეს წიქარას ქედი,
ბედმა მთლიანად რომ არ გამწიროს.

მე რომ პოეტი ვყოფილიყავი
(გთხოვ მაპატიო ძმობის იგავი!),

ვით უცნობ მთიელს, შემითხზა რაღაც
ვეფხვის და მოყმის ბალადის მსგავსი,
წინასწარ ვიცი და ვიცი ნაღდად:
არ ექნებოდა შაურის ფასი...

სწორედ ამიტომ დავიბენ, შეძრული
(თქვენთანაც მიჭირს ამის გამხელა!)
როცა წამოდგა ოსტატი ერთი
და ჩემი გვარი დაასახელა.

მე დავიძაბე უმალვე: — სხვა ჯობს...
უხერხულობა არ მომასვენებს...
ის ავირჩიოთ, უმაღლეს საბჭოს
ვინც დალაგებულ აზრს მოახსენებს...

მე კი მუშა ვარ და მეფოლადე...
ვაშლი ხომ ვაშლის ხეზე მწიფდება..
ხალხო, ისეთი საქმე მომანდე,
რაც მეფოლადეს ხელეწიფება!

დარბაზში ატყდა ხმაური, დავა.
როგორც იტყვიან, მკვდრის ფერი მედო,
როცა წამოდგა დაუკითხავად
და ტრიბუნისკენ გაიჭრა თედო:

„რომ იყოს მართლა ხალხის რჩეული.
მოგეხსენებათ მიწყივ ძნელია.
მისებრ მაშვრალი და ღირსეული
აქ რომ ბევრი ზის, იცის თელიამ.

რაც შეეხება მის განცხადებას,
თითქოს სხვა ჯობდეს. არ ვეთანხმებით.
ვემხრობი პირველ წინადადებას
ვოლგელების და ჩემი სახელით".

როცა ჭაბუკმა სიტყვა აიღო,
გაჩნდა ჩურჩული შეუწყვეტელი.
„რად გეღიმებათ, ძმებო, რა იყო?
მე ვარ მდნობელი თემურ ხეთელი.

ვანო თელია მყავდა ოსტატად.
რამ დამავიწყოს მეგობრის ღვაწლი:
მან მიწინამძღვრა, მან გამომცადა,
როგორც იტყვიან, გამხადა კაცი.

ჰოდა, ვგრძნობ, ძმანო დარბაისელნო,
რა თავდადებით შესტრფის ქარხანას...
სხვა რომ არ იყოს, განა ცეცხლობს,
ჩვენ ვასახელებთ კეთილ ამხანაგს.

ამჯერად ყველამ ვანო ინება,
მაგრამ ვამბობ და მარად ახსოვდეს,
რომ გულგრილობის გამოვლინებას
არ ვაპატიებთ მას არასოდეს!"

მთელმა დარბაზმა დაუკრა ტაში
და მოიწონა სიტყვა ამგვარი.
ასე ავმაღლდი საკუთარ თვალშიც
ფოლადის ერთი მსახურთაგანი.

რა მეთქვა? გულში, ვით სიმძიმილი,
შეიჭრა უცებ ქარი მკვნესარი
და რაიკომის მდივნის ღიმილი
ამეკიაფდა თვალწინ მზესავით.

მოსკოვი, 1973-74.

პოეტის ცნობილი პოემის „რუსული გულის" მეორე წიგნიდან.

ქართველი მშრომელები — ხუთწლედის მხარდამხარ!
5

ალვანელ მეცხვარეებთან

ჩვენს ზემოთ მხოლოდ ცაა





ზედ ღრუბლებთან ცხოვრობენ და შრომობენ ახმეტის რაიონის ალვანის ჯიშთსანაშენე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მწყემსები. მათ ორ ფერმაში ჰყავთ დაბინავებული ცნობილი „თუშური" ჯიშის 38 ათასი სული ცხვარი, რომელიც კარგი ხარისხის მატყლით გამოირჩევა. მწყემსებს „დიდ მიწასთან" კავშირი აქვთ მხოლოდ ვერტმფრინავებით, რომლებსაც მწყემსებთან მიაქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა: სურსათი, მედიკამენტები, ფოსტა. იქიდან კი მაღალი მთის პროდუქციას — მატყლსა და ყველს ეზიდებიან.

კარგად შრომობს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალმთიანი საძოვრების 220 მწყემსი. „ჩვენს ზემოთ მხოლოდ ცაა", ხუმრობენ ხოლმე მწყემსები.

სურათებზე: ზემოთ მარცხნივ — კომკავშირელი ირაკლი შაბალაიძე საბჭოთა არმიაში სამსახურის დამთავრების შემდეგ მთებს დაუბრუნდა და ახლა ერთ-ერთი საუკეთესო მწყემსია; ქვემოთ — მწყემსები ისვენებენ; ვერტმფრინავს მატყლით ტვირთავენ; ზემოთ მარჯვნივ — თუშეთის ალპურ საძოვრებზე.

ფ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაცემა...

თბილისში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ღია სხდომები, სადაც განიხილავდნენ ცეკავშირის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის ნიკოლოზ სტეფანეს-ძე ჯავახიძის ბრალდების საქმეს.

სასამართლო კოლეგიას თავმჯდომარეობდა ი. გოგილაშვილი. სახალხო მსაჯულები იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ვ. ესაიაშვილი და გაზეთ „კომუნისტის" თანამშრომელი, ჟურნალისტი მ. მიქაძე. სახელმწიფო ბრალმდებლად გამოდიოდა რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი ვ. საძაგლიშვილი, საზოგადოებრივ ბრალმდებლად საქართველოს და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო არტისტი დ. ალექსიძე. ბრალდებულის ინტერესებს იცავდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ადვოკატი ჯ. ბაქრაძე.

სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად ცნო ნ. ჯავახიძისათვის წაყენებული ბრალდება მექრთამეობაში და მიუსაჯა მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით და პირადი ქონების კონფისკაციით.

ნ. ჯავახიძის დანაშაული გამოიხატება იმაში, რომ ის ბოროტად იყენებდა თანამდებობრივ მდგომარეობას და თავისივე ხელქვეითს, ერთ-ერთი სამმართველოს უფროსს მ. ახვლედიანს თავისი პირადი სარგებლობისათვის ავალებდა ბინის გარემონტებას, ვარაჟების აშენებას და სხვა ამგვარ სამსახურს, რაც გარკვეულ მატერიალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამ გზით მან მ. ახვლედიანისაგან ქრთამის სახით მიიღო მატერიალური სარგებელი, რომლის საერთო ღირებულება 8 ათას მანეთზე მეტს შეადგენს.

საჭიროდ არ მიგვაჩნია დაწვრილებით აღვწეროთ პროცესის მსვლელობა და დანაშაულის ცალკეული ეპიზოდები და დეტალები. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამოდენა თანამდებობის პირი ქრთამს იღებდა, თავისთავადაც ბევრისმთქმელია და დასკვნების გამოტანა მკითხველსაც არ გაუჭირდება.

ამ ამბავში ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ზოგიერთ მომენტსა და გარემოებაზე, რაც უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება.

უწინარეს ყოვლისა გვინდა წარმოგიდგინოთ თვით მსჯავრდებულის ნიკოლოზ ჯავახიძის პიროვნება. ვერავინ იტყვის, რომ იგი თავიდანვე უღირსი ადამიანი ყოფილიყოს და მთელი მისი ცხოვრება დანაშაულობებითა და ბოროტმოქმედებებით იყოს აღსავსე. არა, იგი ძველი გვარდიის კომუნისტთა რიგებს ეკუთვნოდა, ცხოვრების დიდი გზა აქვს გავლილი და თავის დროზე მნიშვნელოვანი სამსახურიც გაუწევია პარტიისა და ხალხისათვის. იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეა და მიღებული აქვს საბრძოლო ორდენები და მედლები, უმაღლესი მთავარსარდლის მადლობები. მრავალი წლის განმავლობაში იყო პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. არც იმის თქმა შეიძლება, რომ თვით იმ პოსტზეც — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობის დროს მან დანაშაული ჩაიდინა, იგი შემთხვევით იყო მოხვედრილი.

და სამწუხარო და დამაფიქრებელიც სწორედ ის არის, რომ ასეთი კაცი, ძველი, გამოცდილი კომუნისტი ისე დაეცა, რომ ადამიანის სახე დაკარგა და დანაშაული ჩაიდინა.

სასამართლო პროცესზე მოწმედ დაკითხული თ. ქარცხია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ცეკავშირში მუშაობდა ჯავახიძესთან ერთად და ადრეც, ახალგაზრდობიდანვე იცნობდა მას, სამსჯავრო სხდომაზე სინანულით ამბობდა, რომ ვერ წარმოუდგენია, უძნელდება დაიჯეროს, რომ ნიკოლოზ ჯავახიძეს შეეძლო ქრთამი აეღო.

და რაოდენ საწყენია სიბერის წლებში დანაშაულის წუმპეში ხედავდე ადამიანს, კომუნისტს, ვისიც ასე სჯეროდათ და სწამდათ!

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს იმ მძიმე წლებს, რომლებიც ახლო წარსულში გამოვიარეთ. მე ვბედავ მძიმე წლები ვუწოდო იმ პერიოდს... ან კი იმაზე მძიმე რაღა უნდა იყოს, როცა შესაძლებელია ისეთი მაღალი თანამდებობის პირიც კი, როგორიც ნ. ჯავახიძე იყო, დანაშაულში ჩათრეული აღმოჩნდეს. იმაზე უარესი რაღა იქნება, როცა ხელმძღვანელის საამებლად და სასარგებლოდ ხარჯს სწევენ, შრომობენ და ზრუნავენ მისი ხელქვეითები — სამმართველოს უფროსები და მათი მოადგილეები, კომბინატის დირექტორები, მხატვრები, მუშები და ყოველივე ეს არათუ დანაშაულად, საჩოთიროდ და სათაკილოდაც კი არ ითვლება!

ასეთი იყო საერთო განწყობილება და საზოგადოებრივი ატმოსფერო. მისი ზემოქმედებით იქცა ნ. ჯავახიძე, ისე როგორც ბევრი მისი მსგავსი, ბოროტმოქმედად.

ჩანს, ამ მომწამვლელი საზოგადოებრივი ატმოსფეროს გავლენისაგან ჯერაც ვერ დაუღწევიათ თავი, ჯერაც ვერ მოსულან გონს ნიკოლოზ ჯავახიძის ოჯახის წევრებიც. ამას მოწმობს მათი დამოკიდებულება მამის დანაშაულისადმი. შვილი ანზორ ჯავახიძე და სიძე ჯემალ ბახტაძე კომუნისტები არიან და მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში და სრული უფლება გვაქვს მაღალი მოთხოვნები წავუყენოთ მათ, როგორც კომუნისტებსა და მოქალაქეებს, წინასწარი გამოძიებისას და სამსჯავრო სხდომაზე მათ მიერ მიცემული ჩვენებები მოწმედ დაკითხვის დროს და სასამართლოსათვის წარდგენილი საეჭვო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ისინი უფრო იმაზე ზრუნავენ როგორმე იურიდიული საბუთები შექმნან მამის გასამართლებლად, სხვას კი არას დაგიდევენ.

არსად მათს სიტყვებსა და მოქმედებაში არ გამოსჭვივის სინანულის გრძნობა, რაც მათი ოჯახის მორალური ზარალის — შერცხვენის მცირე საზღაური მაინც იქნებოდა. უფრო მეტიც: ანზორ ჯავახიძემ ზემდგომ ორგანოებს მიმართა არაერთი განცხადებით, რომლებშიც ბევრი სიცრუე და ცილისმწამებლური გამოხდომებიც კია.

არაფერი საძრახისი არ არის იმაში, რომ შვილი ზრუნავდეს მამის ბედზე, თუნდაც მას დანაშაულიც ჰქონდეს ჩადენილი, მაგრამ სიცრუე და ცილისწამება კომუნისტს არ ეპატიება.

ამ ამბავში საყურადღებო და ხაზგასასმელია კიდევ ის გარემოება, რომ თვით მიხეილ ახვლედიანი, ვინც ნ. ჯავახიძე მექრთამეობაში ამხილა, ბოროტმოქმედია, სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული და ბრალად აქვს წაყენებული ცეკავშირის სისტემაში მოკალათებულ სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დამტაცებელთა ჯგუფში მონაწილეობა.

და განა არის აქ რაიმე მოულოდნელი და განსაცვიფრებელი იმის შემდეგ, რაც ნ. ჯავახიძე მექრთამეობაში იქნა მხილებული?! მ. ახვლედიანს, რომელსაც ნ. ჯავახიძეზე ორჯერ ნაკლები ხელფასი ჰქონდა, სხვა რა სახსრებით შეეძლო ხარჯი გაეწია თავისი ხელმძღვანელის სასარგებლოდ, თუ არა სახელმწიფო სალაროდან მითვისებული თანხებით!

და ამის შემდეგ ნ. ჯავახიძეს გამბედაობა ეყო პროცესზე განეცხადებია, რომ არ ვიცოდი და არც შემეძლო მცოდნოდა, რომ მ. ახვლედიანი ბოროტმოქმედი იყოო!!

სხვაც ბევრი რამ არის ამ ამბავში სამწუხარო და დამაფიქრებელი... იმაზე სამწუხარო რაღა იქნება, როცა იძულებული ხარ 11 წლის პატიმრობა მიუსაჯო 65 წლის კაცს, ვინც შვილებსა და შვილიშვილებში უნდა ატარებდეს სიბერის დღეებს. ეს კი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ პატიოსნება უბრალო ადამიანური ღირსება კი არ არის, პატიოსნება უდიდესი განძია, რომელზეც დამყარებულია მთელი ჩვენი ბედნიერება. უპატიოსნო კაცი შეიძლება ციხეში არც მოხვდეს, მაგრამ მშვიდად და ბედნიერად ვერასოდეს ვერ იცხოვრებს.

მ. როზაქიძე.

მეგობრობის გზებით

ქართველი ხელოსნები ჩრდილო კავკასიაში

ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიულებს შორის უძველესი დროიდან დამყარებულა მჭიდრო ეკონომიური და კეთილმეზობლური ურთიერთობა, რასაც საფუძვლად ედო ურთიერთ ხელშეწყობა და დახმარება, ორივე მხარისათვის სასარგებლო ვაჭრობა-აღებმიცემობა. რაჭველ და სვან ხელოსნებს ხშირად ნახავთ ყარაჩაის, მალყარის, დიგორისა და დვალეთის აულებში სახელოსნო იარაღებით ხელში. იქ კერძები ჰყავდათ და მათი იმედით არ ერიდებოდნენ უგზოობასა და ქარბუქს.

ქართველი ხელოსნების საქმიანობას ჩრდილოეთკავკასიაში მეტად ფართო ხასიათი ჰქონდა, რაზეც გარდა ხალხური გადმოცემებისა და ისტორიული წყაროებისა, მეტყველებენ იქაურ აულებში შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობები, მონასტრები და საცხოვრებელი ბინები. მათი უმრავლესობის აშენებას ხალხი ქართველ ოსტატებს მიაწერს.

ქართველი მოხელეების საქმიანობა შეულევარი იყო მეზობელი მთიელების ცხოვრებაში. ამიტომ თუ დააგვიანდებოდათ აულში მისვლა, მაშინ სახლის მშენებლები სამუშაოდ საგანგებოდ იწვევდნენ ქართველ მოხელეებს, წერილით ან კაცის პირით აცნობებდნენ: გვიშველე სახლის მშენებლობაშიო. 1910 წელს ასე მოწვევით დაუწყია სახლის მშენებლობა აულ ურნალში რაჭველ ხელოსანთა ამხანაგობას, რომელშიც გაერთიანებული ყოფილან დათა, ელიზბარ, ალექსი რეხვიაშვილები. დიგორის აულებში ნაჯახითა და ხერხით ხელში ხშირად შეხვდებოდით ხელოსნებს ჭიორელ ლექსო ჩაგელიშვილს და გლოველ თედო გუტაშვილს. მათ ძველი ნაცნობობა აკავშირებდათ კერძებთან.

საყურადღებოა ჩრდილოეთკავკასიაში მომუშავე ქართველი ხელოსნების ფოტოსურათი, რომელიც ჭიორაში ერთ ოჯახს შემორჩენია. სურათზე გამოსახული არიან იმ დროს მთელ ჩრდილოეთკავკასიაში განთქმული რაჭველი ხელოსნები. წინა რიგში მარცხნიდან დგანან ლექსო ჩაგელიშვილი, სერგო რეხვიაშვილი, მიქელა, ნიკო ჩაგელიშვილები, მეორე რიგში მარცხნიდან მეხამე, ლევანტო ჩაგელიშვილი, ილიკო ჩაგელიშვილი, ილიკო რეხვიაშვილი. მათთან დგანან ოსი კერძის ქალიშვილები. სურათი გადაღებულია 1912 წელს აულ შექერაში ბიაზარიანთ საგვარეულოს სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ.

ფასის მთით სახელოსნო იარაღებით დატვირთულ ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა ზემო მალყარის მდ. ჩერეკის ხეობაში გადადიოდა და სხვადასხვა აულებში მუშაობდა. ასე ყოფილა ძველი დროიდანვე. ამიტომ არის, რომ აქ სვანური ტიპის ციხე-კოშკები დღესაც გვხვდება. დიდ მალყარში მდ. ჩერეკის მარცხენა ნაპირზე უზარმაზარი კედლების ძირას არწივის ბუდესავით მიჰკვრია აული ქიუნიმი (მზიური), ამჟამად ნასოფლარი, აქ ნანგრევებს შორის აღმართულა ერთი ოთხსართულიანი მაღალი კოშკი, დუროებითა და ჯვრის გამოსახულებიანი სარკმლებით დამშვენებული. მის გვერდით ნახევრადდანგრეული ორი კოშკი დგას. აქ ძველად სვანებს უცხოვრიათ. ქიუნიმის ციხეებიც მათი აშენებულიაო, წერს მილერი.

მდ. ჩერეკის მარცხენა შენაკადის ზემო წელი ე. წ. ბეზენგო ხვალამის ხეობა ციხე-კოშკების სიმრავლით ყოფილა ცნობილი. დღეს მათი უმრავლესობა დანგრეულია, დაცულია მხოლოდ აულ ზებინგის ციხე-კოშკი, რომელსაც ხალხი „ებზე კალას" ეძახის, რაც „ქართულ კოშკს" ნიშნავს.

ყარაჩაის აულ ხურძუკში ერთ-ერთ მაღალ მწვერვალზე ძველი დროის ხელმარჯვე ოსტატებს ქვიტკირის ციხე-კოშკი აუგიათ, ამ კოშკს ხურძუკელები მამიას ციხეს ეძახიან. თავისი გრანდიოზულობითა და მშენებლობის სირთულით აოცებს მნახველს საჯიხვეებში შეხიზნული ეს ციხე-კოშკი — წარსულის ქაღარა მატიანე. საინტერესოა, რომ ხურძუკის ციხეს ზოგიერთი მკვლევარი ქართველების აშენებულად თვლის. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იმ ადგილზე ყარაჩაელები დასახლდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში სვანური ტიპის სხვადასხვა შენობანაგებობათა ნანგრევები, სასაფლაოების ნაშთები, ტოპონიკური ტერმინები და სხვ. აშკარად მეტყველებენ, რომ სვანებს ფართოდ ჰქონდათ მოკიდებული ფეხი ჩრდილოეთ კავკასიაში.

მალყარის აულებში რაჭველი ხელოსნების საქმიანობა დიდხანს არ შეწყვეტილა. ალექსი რეხვიაშვილის გადმოცემით მის ხსოვნაში იქ მუშაობდა ისმაილა, ვანო, მათე და გოგია რეხვიაშვილების ხელოსანთა ამხანაგობა. სახლებს აშენებდნენ აულებში: ზილგი, ჩეგეთი, თობენელი, მუხოლი, შაურდატა, ფარდიკა, დიდმალყარი, ქიუნიმი, თურა-ხაბელა და სხვ. ამ აულებში არ ყოფილა ოჯახი, რომ მისი სახლი რაჭველ მოხელეებს არ დაედგათ ან არ შეეკეთებინათ. მთიელთა შორის განსაკუთრებული პატივისცემა დაუმსახურებია მოხელეთა ამხანაგობას, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ვარლამა, სერგო, ილიკო, აფრასიონა, მათე, გიოლა, ილიკო რეხვიაშვილები, მიხა, ილიკო ჩაგელიშვილები. მათ ფეხით შემოუვლიათ ყარაჩაისა და მალყარის აულები და მთელი სიცოცხლე სახლების მშენებლობაში გაუტარებიათ, ადგილობრივი მთიელები ქვით, უკიროდ აშენებდნენ კედლებს. ასეთ ნაშენს „ხუნას" ეძახდნენ. ხის მოხელე დურგალი კი მე იქ არ მინახავსო, ამბობს გოგია რეხვიაშვილი. ხის სახლის გამართვაში რაჭველ ხელოსნებს ბადალი არა ჰყავდათ. ილიკო ჩაგელიშვილის ამხანაგობა 1921 წლიდან აულ ყაშხათაურში (ამჟამად სავეცკი, რაიონული ცენტრი) დამკვიდრებულა.

საბედნიეროდ ქართველ ხელოსანთა ნაკვალევი ჩრდილოკავკასიაში დღემდე არ წაშლილა. მატერიალურ ძეგლებზე რომ არაფერი ვთქვათ, გადმოცემებში და ხალხში შემონახულ ფოტოსურათებში ნათლად ჩანს მათი საქმიანობა. ამას გარდა დღემდე იქ ცოცხლობენ მოხუცები, რომელთაც ახსოვთ აულებში მომუშავე ქართველი ხელოსნები. ვფიქრობთ საჭიროა დროულად მიექცეს ყურადღება მასალების შეკრება-შესწავლას და ქართველი ხელმარჯვე ოსტატების ნაამაგარის სათანადო შეფასებას, რომ მათმა საქმიანობამ შესაფერისი ადგილი დაიმკვიდროს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ს. რეხვიაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.



ცისფერი ჩირაღდანი ჭიათურაში

28 სექტემბერს ჭიათურაში აინთო ცისფერი ჩირაღდანი.

ამ მოვლენის აღსანიშნავად ქალაქის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გახსნა ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. გოგატიშვილმა, მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვაშაძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსმა გ. ბარძიმოვმა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. საუკეთესო მშენებლები დაჯილდოვდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპატიო სიგელებით.

(საქინფორმი).

□

წვიმები, ქარები...

შემოდგომა ძალაში შედის. როგორი ამინდი იქნება ოქტომბერში?

დასავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 13-15, მთა რაიონებში 9-12 გრადუსი სითბო. რაც ნორმაზე დაბალია ერთ-ერთნახევარი, ზოგან ორი გრადუსითაც კი.

ნალექების თვიური ჯამი მრავალწლიურ ნორმაზე მეტი იქნება.

1-10 ოქტომბერს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის პირველ ნახევარში დროგამოშვებით წვიმა, ალაგ-ალაგ ელჭექი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 22-27, მთიან რაიონებში 18-23 გრადუსი სითბო. დეკადის შუა რიცხვებში ტემპერატურა დაიწევს, დაბლობ რაიონებში დღისით 13-18 გრადუსამდე, მთა რაიონებში დღისით 12-17 გრადუსამდე.

11-20 ოქტომბერი. დეკადის შუა ნაწილში უნალექო ამინდი იქნება, დანარჩენ დღეებში დროგამოშვებით წვიმა, ალაგ-ალაგ ელჭექი. ტემპერატურა: დაბლობ რაიონებში დღისით 21-26, მთა რაიონებში — დღისით 18-23 გრადუსი სითბო.

21-31 ოქტომბერი — ღრუბლიანი ამინდი მოწმენდით, დროგამოშვებით ნალექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 13-18 გრადუსი, მთა რაიონებში დღისით 7-13 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 10-13, მთა რაიონებში 5-9 გრადუსი სითბო, რაც აგრეთვე ნორმაზე დაბალია.

ნალექების თვიური რაოდენობა ტერიტორიის მეტ ნაწილზე ნორმის ფარგლებში იქნება.

1-10 ოქტომბერი. მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დეკადის პირველ ნახევარში ალაგ-ალაგ წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 20-25, მთა რაიონებში 16-21 გრადუსი სითბო. დეკადის შუა რიცხვებში ტემპერატურა დაიწევს: დაბლობ რაიონებში დღისით 13-18 გრადუსამდე, მთა რაიონებში დღისით 10-15 გრადუსამდე.

11-20 ოქტომბერი — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 18-23, მთა რაიონებში 15-20 გრადუსი სითბო.

21-31 ოქტომბერს იქნება ღრუბლიანი ამინდი მოწმენდით, დროგამოშვებით — ნალექი, მთებში ზოგან თოვლის სახით. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში დღისით 13-18, მთა რაიონებში დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

მ. ალექსიშვილი,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ამინდი

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" №9

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე წერილით, რომელშიც ხაზგასმით ექცევა ყურადღება რთველის ორგანიზებულად ჩატარებას. ჟურნალის ფურცლებზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შეხვედრისადმი მიძღვნილ მასალებს. კერძოდ, ამ თემაზე მკითხველებს მოუთხრობს ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის" სპეციალური კორესპონდენტი იოსებ კორინთელი წერილში „ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზით". ჟურნალის ფურცლებზე მკითხველი ნახავს მეცნიერების, აგრონომებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტების საინტერესო მასალებსა და რჩევა-დარიგებას.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

მთავარი მსაჯის აზრით

მთავარი მსაჯები იშვიათად აძლევენ ხოლმე ინტერვიუს ჟურნალისტებს, მაგრამ ყოველკვირეულ „64"-ის კორესპონდენტი კარჟავინი, ეტყობა, „ჩააცივდა" ალბერიკ ო' კელის.

აი ზოგი ნაწყვეტი მთავარი მსაჯის ინტერვიუდან:

განსხვავდება თუ არა ახლანდელი მატჩი უმაღლესი დონის სხვა ორთაბრძოლებისაგან, რომლებიც უკანასკნელ წლებში ჩატარდა?

ახლა ჯერ კიდევ ადრეა დასკვნების გაკეთება, მაგრამ პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ახლანდელი ფინალური მატჩი გამოირჩევა იშვიათი შეუპოვრობით. მაგალითად, სპასკი-ფიშერის მატჩი ამ თვალსაზრისით ჩამოუვარდება ახლანდელ ორთაბრძოლას: თუ გახსოვთ რეიკიავიკში სპასკიმ რამდენიმე პარტია თითქმის უბრძოლველად წააგო. ახლა სულ სხვანაირი თამაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დღევანდელი ფინალისტი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩინებულად მოემზადა და თანახმაა თვითეულ პარტიაში უკანასკნელ პაიკამდე იბრძოლოს. კარპოვისა და კორჩნოის სამატჩო დევიზი ნათელია: „არავითარი კომპრომისი!" ამას შესანიშნავად გრძნობენ მაყურებლებიც. მე მივაქციე ყურადღება იმ ამბავს, რომ მეოთხე გადადებული პარტიის დამთავრებისას სატურნირო დარბაზში არცერთი ადგილი არ იყო. პარტია გადაიდო შედარებით მარტივ ენდშპილში, მაგრამ გულშემატკივრებმა იცოდნენ, რომ გროსმაისტერები ყაიმზე მხოლოდ მაშინ შეთანხმდებიან, როცა დაფაზე ბრძოლის გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება.

თქვენი აზრით, შედგება თუ არა 1975 წელს მატჩი მსოფლიოს პირველობაზე?

[illegible] რომ 1975 წელს მატჩი [illegible] პირველობაზე ვერ ჩატარდება. აქამდე, თუ კი ფიშერი თავის მოთხოვნებს წამოაყენებდა ხოლმე, იგი შემდეგ არასდროს არაფერს თმობდა. ახლა ამერიკელმა გროსმაისტერმა თავი ისეთ მდგომარეობაში ჩაიყენა, ხატოვნად რომ ვთქვათ, „სვლა უკან უნდა დაიბრუნოს"...

ფიშერის თავისებური ხასიათი რომ ვიცით, შეიძლება წინასწარ ვთქვათ, რომ იგი არ დათანხმდება გადასინჯოს თავისი პოზიცია.

დასასრულ ალბერიკ ო' კელიმ დაასკვნა, რომ კარპოვ-კორჩნოის შეხვედრა მსოფლიოს პირველობის მატჩებზე ნაკლებ ინტერესს როდი იწვევს.

მატჩის მეექვსე პარტია
კარპოვი-კორჩნოი
რუსული პარტია

1. e4 e5 2. მf3 მf6 3. მ:e5 d6 4. მf3 მ:e4 5. d4 d5 6. კd3 კe7 7. 0-0 მc6 8. ეe1 კg4 9. c3 f5 10. ლb3 0-0 11. მbd2 მფh8 12. h3 კh5 13. ლ:b7 ეf6 14. ლb3 ეg6 15. კe2 კh4 16. ეf1 კ:f3 17. მ:f3 კ:f2+ 18. ე:f2 მ:f2 19. მფ:f2 ლd2 20. მg5 ეf8 21. ლa3 ლd8 22. კf4 h6 23. მf3 ეe8 24. კd3 ეe4 25. g3 ეf6 26. ლc5 g5 27. მ:g5 hg 28. კ:g5 ე4e6 29. ეe1 ლg8 30. h4 ეg6 31. ე:e6 და შავებმა დროს გადააცილეს.

უკანასკნელ საათს

გუშინ გაიმართა პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეშვიდე პარტია. თეთრებით თამაშობდა ვ. კორჩნოი. პარტია გადაიდო კარპოვის მცირე უპირატესობით.

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

ლიდერმა კვლავ მოიგო

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ფათალიბეკოვამ მოუგო ჩიბურდანიძეს და 3 თამაშიდან 3 ქულით განაგრძო ლიდერობა. კობაიძემ ვერ შეძლო გადადებული პარტიის ხსნა გრინფელდთან, გოლოვეის კი ყაიმზე შეუთანხმდა.

დიდი სიმძაფრით ხასიათდებოდა მეოთხე ტური. ფათალიბეკოვამ მოუგო მულენკოს. ეს მისი მეოთხე გამარჯვებაა ზედიზედ. მედიანიკოვამ დაამარცხა ფომინა, სამულმა — ბახრეხი, რანიკუმ—ბილუნოვა, კოზლოვსკაიასთან ტურნირში პირველი დამარცხება განიცადა გრინფელდმა. (ეს ამავე დროს კოზლოვსკაიას პირველი გამარჯვებაა), პოპოვამ მოუგო ხუგაშვილს. კობაიძე-კისლოვა და შულიმოროზოვა ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ 4 ქულით მტკიცედ ლიდერობს მოსკოვის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ელენე ფათალიბეკოვა. 3 თამაშიდან 2,5 ქულა აქვს ოსტატობის კანდიდატ სამულს (ტალინი), 4 თამაშიდან 2,5 ქულა მოაგროვეს საერთაშორისო ოსტატებმა რანიკუმ (ტალინი), კისლოვამ (ომსკი) და ოსტატმა გრინფელდმა (კალინინგრადი).

გ. გამრეკელი.

ძალოსნობა

დამამთავრებელი აკორდები

ქალაქ შახტის მკვიდრმა, ინჟინერმა ვასილი ალექსეევმა შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ჩვენმა გოლიათმა დაამყარა ორი მსოფლიო რეკორდი — ორჭიდში 425 კილოგრამი, ხოლო დამატებით აკვრაში — 241 კილოგრამი. ვერავინ შეძლო მეტოქეობა გაეწია საბჭოთა ძალოსნისათვის. „ვერცხლის" პრიზიორმა ბელგიელმა სერჟ რედინგმა ორ მოძრაობაში მხოლოდ 390 კილოგრამი დააგროვა, ხოლო იურგენ ჰეუზერმა — 382.5 კილოგრამი ასწია და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

ბულგარელი ათლეტების ანგარიშზეა 4 ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი და ქულათა საუკეთესო რაოდენობა — 78 ქულა. სსრ კავშირის ნაკრებს 4 ქულით ნაკლები აქვს, თუმცა მედლების სოლიდური რაოდენობით — 4 ოქროს, 2 ვერცხლის, 1 ბრინჯაოს მედალი.

საუკეთესოთა ექვსეულში შევიდნენ აგრეთვე პოლონეთის (50 ქულა), იაპონიის (42 ქულა), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (39 ქულა) და უნგრეთის (35 ქულა) გუნდები.

დიდი ჰოკეის წინ

კანადელ ჰოკეისტებთან შეხვედრის წინ საბჭოთა ნაკრებმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარა გორკის „ტორპედოსთან" და მოიგო ანგარიშით 5:2.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში მოხდა ზოგიერთი ცვლილება. გუნდში შეიყვანეს დამცველები შატალოვი და ტიურინი, თავდამსხმელი ვიკულოვი. თავიანთ კლუბებში კანადელებთან შესახვედრად ემზადებიან დამცველები საპელკინი და ფილიპოვი, თავდამსხმელები ვოლჩკოვი და კლიმოვი.

საბჭოთა კავშირში გზადმომავალი კანადის ჰოკეისტები ქალაქ გეტებორგში შეხვდნენ შვეციის ნაკრებს და მოუგეს ანგარიშით — 4:3. მანამდე კი დაამარცხეს ფინეთის ნაკრები — 8:3.

დამთავრდა პირველი ნახევარი

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც კოლუმბიის ქალაქ მედელინში მიმდინარეობს, დამთავრდა პირველი ნახევარი. 10 მონაწილიდან 5 გუნდი იბრძვის საპრიზო ადგილებისათვის. ესენი არიან საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის გუნდები.

ჯერჯერობით ასპარეზობა საბჭოთა მოჭადრაკეთათვის მარცხიანად წარიმართა. 8 შესაძლებლიდან 5 ქულით ისინი მხოლოდ მეოთხე ადგილზე არიან. ექვს-ექვსი ქულა მოაგროვეს უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდებმა.

კალათბურთი

ევროპა — ამერიკა 2:0

რიო-დე-ჟანეიროში საკონტინენტთაშორისო ამხანაგურ მატჩში ევროპის კალათბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 94:85 (47:40) დაამარცხა ამერიკის ნაკრები. ევროპის ნაკრებში გამოდიოდნენ მოსკოველი სერგეი ბელოვი, იუგოსლაველები ელოვაცი და ჩოსიჩი, ესპანელი ბრაბენდერი, იტალიელი მენეგინი. ამ გუნდების მეორე მატჩიც, რომელიც ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში გაიმართა, დამთავრდა ევროპის ნაკრების გამარჯვებით — 103:99 (48:49). ორი კონტინენტის კალათბურთელთა საპასუხო შეხვედრები გაიმართება 1 ოქტომბერს ბრიუსელში და 4 ოქტომბერს რომში.

ტელევიზია

1 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სატელევიზიო ფილმი „კარპატების ესკიზები", 11.00 — ფერადი ტელევიზია. საბჭოთა კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების გახსნა, მიძღვნილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 25 წლისთავისადმი. კონცერტი (გადაცემა კრემლის ყრილობათა სასახლიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.30 — სატელევიზიო ფილმი ოსტატები, 18.10 — განცხადებები, 18.15—ბავშვებისათვის —კონცერტი „შემოდგომაა, შემოდგომა", 18.40 — კინონარკვევი, 18.50 — „სპორტული მიმოხილვა", 19.15 — „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესახვედრად" „პარტიული ცხოვრება", 19.45 — რუსთავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" პირველი მოქმედება (ვიდეოჩანაწერი), 21.00 „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — რუსთავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი" მეორე მოქმედება (ვიდეოჩანაწერი), 22.15 — კინონარკვევი, 22.30 — ფერადი ტელევიზია. საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-კანადა — მესამე პერიოდი (გადმოცემა მოსკოვიდან). დასასრულ— ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — ნახატი ფილმი „ალისფერი ყვავილი", 18.50 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 19.20 — სატელევიზიო ფილმი „ადამიანები ლეგენდიდან", 20.30 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ცეცხლი ჩემსკენ" (მეორე სერია).

ვნახოთ, მოვისმინოთ

თეატრები

1 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პატიოსანი.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ეკონომიური, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის და ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტების დაუსწრებელი სწავლების განყოფილების მეორე და მეხუთე კურსის სტუდენტებისათვის მიმოხილვითი ლექციები ჩატარდება 1974 წლის 15 ოქტომბრიდან.

გამოცხადება სავალდებულოა.

მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 2 (მაღლივი კორპუსი).

რექტორატი.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოს — 99-66-10 განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-68, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02846 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14